დამტკიცებულია:
სს ”საქართველოს რკინიგზის”
დირექტორთა საბჭოს
2016 წლის 29 ნოემბრის
№30/50 დადგენილებით

# სს “საქართველოს რკინიგზა”

## სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები

(2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, დამატებებისა და ცვლილებების გათვალისწინებით)

**სარჩევი:**


მუხლი I. ზოგადი დებულებები ..... 3

მუხლი II. განმარტებები ..... 5

მუხლი III. გადაზიდვების ღირებულების გაანგარიშების წესი და ტარიფების საბაზო განაკვეთები ..... 6

მუხლი IV. ტარიფების მაკორექტირებელი კოეფიციენტები ტვირთების სახეობის მიხედვით ($K_{\text{ტვირთი}}$) ..... 9

მუხლი V. ტარიფების მაკორექტირებელი კოეფიციენტები მანძილების და გადაზიდვის მიმართულების მიხედვით ($K_{\text{მანძ.მიმ}}$) ..... 9

მუხლი VI. ტარიფების მაკორექტირებელი კოეფიციენტები ვაგონის და კონტეინერის საკუთრების მიხედვით ($K_{\text{ვაგ.საკუთ}}$, $K_{\text{კონტ.საკუთ}}$.) ..... 16

მუხლი VII. ტარიფების მაკორექტირებელი მოცულობითი შეღავათის კოეფიციენტი ($K_{\text{შეღავ}}$) და მოცულობითი ტარიფები ..... 16

მუხლი VIII. დამატებითი საფასურები ..... 21

მუხლი IX. ცარიელი ვაგონების მიმოსვლა და მოძრავი შემადგენლობა საკუთარ ღერძებზე ..... 29

მუხლი X. რეფრიჟერატორული სექციით ტვირთის გადაზიდვის ტარიფები ..... 30

მუხლი XI. საკონტეინერო მატარებლით დატვირთული და ცარიელი კონტეინერების გადაზიდვის ტარიფები ..... 32


**დანართები**


ცხრილი №1.საქართველოს რკინიგზის კომერციული წარმოების ოპერაციებისათვის

გახსნილ სადგურებს შორის მანძილები ..... 36

ცხრილი №1-ა. სადგურების საექსპორტო კოდების ჩამონათვალი ..... 42

ცხრილი №2. საქართველოს რკინიგზის ტარიფების საბაზო განაკვეთები ..... 44

ცხრილი №2-ა. საქართველოს რკინიგზის სადგურ ფოთიდან / ბათუმიდან (მათ შორის პორტები) დატვირთული კონტეინერის საქართველოს რკინიგზის სადგურის დანიშნულებით გაგზავნის და უკუმიმართულებით ცარიელი კონტეინერის გადაზიდვის საბაზო განაკვეთები ..... 46

ცხრილი №3. შეზღუდული წონის სარკინიგზო უბნები ..... 48

ცხრილი №4. ტვირთის სახეობების კოეფიციენტები ..... 48

ცხრილი №5.საფრთხეშემცველი ტვირთების ჩამონათვალი ..... 49

ცხრილი №6. ძირითადი ხაზის განშტოებები ..... 54

ცხრილი №7. შეთავაზებული მომსახურების ტარიფები ..... 55

ცხრილი №8. კლიენტის მოთხოვნით, საგარანტიო წერილის საფუძველზე, სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის დროებით რეჟიმში მომსახურების შესახებ ნებართვის გაცემის საფასურები ..... 55

# მუხლი I. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სს "საქართველოს რკინიგზა"-ს სატვირთო გადაზიდვების ტარიფებს და მათთან დაკავშირებული მომსახურების საფასურებს და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

2. სს "საქართველოს რკინიგზა"-ს სატვირთო გადაზიდვების ტარიფების და მათთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დადგენისას ხელმძღვანელობს არსებული საერთაშორისო ნორმატიული აქტებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სს "საქართველოს რკინიგზა"-ს გადაწყვეტილებებით.

3. ამ დოკუმენტით გაუთვალისწინებული გადაზიდვების და მომსახურეობის მოთხოვნის შემთხვევაში სს "საქართველოს რკინიგზა" გადაზიდვების პირობებს განსაზღვრავს კონკრეტული ხელშეკრულებებით.

4. სს "საქართველოს რკინიგზა"-ს კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე დასაშვებია ტარიფების და საფასურების ცვლილება. ამასთან, მათი გაზრდის შემთხვევაში ცვლილება ძალაში შედის სატრანზიტო გადაზიდვებისათვის-არანაკლებ ერთი თვის შემდეგ, ხოლო საექსპორტო-საიმპორტო და ადგილობრივ გადაზიდვებისათვის - არანაკლებ 15 დღის შემდეგ. აღნიშნული ცვლილებები თავსდება სს "საქართველოს რკინიგზა"-ს ოფიციალურ ვებ. გვერდზე.

5. გადაზიდვის ტარიფების საბაზო განაკვეთები მოცემულია აშშ დოლარებში. ასევე დასაშვებია ტარიფების დაწესება ლარში. ტარიფების საბაზო განაკვეთები და დამატებითი საფასურები მოცემულია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, რომლის დარიცხვა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. გადაზიდვის ღირებულება იანგარიშება ტარიფებით, რომლებიც მოქმედებენ გადაზიდვის საბუთებში გამგზავნი/გადამგზავნი-ციმ/სმგს სადგურის კალენდარული შტემპელის დასმის დღისთვის.
გადაზიდვის ღირებულების ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა ხდება გადაზიდვის ვალდებულების წარმოქმნის დღისთვის (სადგურის კალენდარული შტემპელი), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსით.

7. დამატებითი საფასურების ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა ხდება სს "საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ მომსახურების გაწევის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსით.

8. ანგარიშსწორების ვალუტას წარმოადგენს ლარი, აშშ დოლარი, შვეიცარული ფრანკი, გირვანქა სტერლინგი და ევრო გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ტვირთის სახეობის განსაზღვრისას გამოიყენება "ტვირთების ჰარმონიზებული ნომენკლატურის" პოზიციები, თუ სხვა არ არის მითითებული.

10. ვაგონით ნაკრები ტვირთების გადაზიდვისას ტვირთის განსხვავებული კოეფიციენტების არსებობის შემთხვევაში გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშებისას აიღება მათ შორის არსებული მაქსიმალური კოეფიციენტი, ამასთანავე გზავნილის ფაქტიურ წონად აიღება ნაკრები ტვირთების წონის ჯამი.

11. საქართველოს რკინიგზის მიერ და სხვა რკინიგზების მიერ იჯარით გაცემულ ვაგონებზე, როდესაც ისინი ათავისუფლებენ საქართველოს რკინიგზას ვაგონების სარგებლობის

საფასურის გადახდისაგან, მაშინ იჯარით გაცემულ ვაგონებზე ვრცელდება ამ დოკუმენტით განსაზღვრული საკუთარი ვაგონების პირობები, თუ ამაზე არსებობს საქართველოს რკინიგზის შესაბამისი თანხმობა.

12. მუხლი III.-ის მე-8 პუნქტის, მუხლი X.-ის პირველი პუნქტისა და მუხლი XI.-ის ტარიფების მიმართ დამატებითი კოეფიციენტები არ გამოიყენება, თუ ეს კონკრეტულად არ არის მითითებული.

13. მშრალი ტვირთის სავაგონო გადაზიდვისას (გარდა სხვა რკინიგზიდან შემოსულის გადამისამართებისას), როდესაც გამგზავნი (გარდა ფოთისა და ბათუმისა, მათ შორის პორტებისა) და დანიშნულების სადგურები ორივე საქართველოს რკინიგზის სადგურია, გადაზიდვის ტარიფების (გარდა სპეცტარიფებისა) მიმართ დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი-0.75 *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

14. რკინიგზის სადგურ ფოთში, ბათუმში მშრალი ტვირთების შიდა სასადგურო გადაზიდვისას (ერთი რკინიგზის სადგურის ფარგლებში) ტარიფებისა და სადგურის მომსახურების საფასურის (მუხლი VIII.-ის პირველი პუნქტი) მიმართ დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტი 0.5 *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

15. საქართველოს რკინიგზის სადგურ ფოთიდან / ბათუმიდან (მათ შორის პორტები) დატვირთული კონტეინერის საქართველოს რკინიგზის სადგურის დანიშნულებით გაგზავნის და უკუმიმართულებით ცარიელი კონტეინერის გადაზიდვის საბაზო განაკვეთები, სადგურის მომსახურების საფასურები მოცემულია დანართის ცხრილ 2ა -ში. *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

16. გამგზავნის მიერ ზედნადებში არასწორი ან არასრული მონაცემების შეტანის შემთხვევაში, რომელმაც გამოიწვია რკინიგზისთვის მისაღები გადაზიდვის ღირებულების (ტარიფი და სადგურის მომსახურების საფასური) შემცირება, კლიენტი რკინიგზას უხდის ჯარიმას, ზედნადებში მითითებულ მარშრუტზე მიუღებელი თანხის (სხვაობა მისაღებ და მიღებულ გადაზიდვის ღირებულებას შორის) ხუთმაგი ოდენობით. ამასთან, კალენდარული წლის განმავლობაში, ამ შემთხვევის განმეორებისას, აღნიშნული წესით გამოთვლილი თანხა ორმაგდება.

17. კონკრეტული ტვირთისა და გადაზიდვის მიმართულების გათვალისწინებით შესაძლებელია დადგინდეს სპეცტარიფი, რომელიც საბაზო ტარიფზე ნაკლებია ან მეტია. ამასთან, სპეცტარიფის არსებობის შემთხვევაში საბაზო ტარიფი არ გამოიყენება.

# მუხლი II. განმარტებები

1. ინვენტარული პარკის ვაგონად/კონტეინერად ითვლება - სატვირთო ვაგონი/კონტეინერი, რომელიც ეკუთვნის რკინიგზათა ადმინისტრაციებს (რკინიგზებს) და დარეგისტრირებულია სატვირთო ვაგონების პარკის/კონტეინერების ავტომატიზირებულ მონაცემთა ბაზაში *(АБД ПВ/АБД ПК)* ინვენტარული ნიშანთვისების შესაბამისობით.

   საკუთარ ვაგონად ითვლება - სატვირთო ვაგონი, რომელიც ეკუთვნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და დარეგისტრირებულია სატვირთო ვაგონების პარკის ავტომატიზირებულ მონაცემთა ბაზაში *(АБД ПВ)* საკუთრების ნიშანთვისების შესაბამისობით. გარდა ამისა, სატარიფო მიზნებისთვის, საკუთარ ვაგონად ითვლება ვაგონიც, რომელიც არ არის დარეგისტრირებული სატვირთო ვაგონების პარკის ავტომატიზირებულ მონაცემთა ბაზაში *(АБД ПВ)* და გადაადგილდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

   საკუთარ კონტეინერად ითვლება- კონტეინერი, რომელიც ეკუთვნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და აქვს შესაბამისი მარკირების კოდი, რომელიც შეესაბამება მიღებული ნუმერაციის სისტემას ან საერთაშორისო სტანდარტს.

2. ტვირთის გადაზიდვის ღირებულება განისაზღვრება სადგურებს შორის გადაზიდვის მანძილის შესაბამისად, რომელიც გამოითვლება სადგურის ღერძიდან. საქართველოს სადგურებს შორის მანძილები მოცემულია დანართის სახით ცხრილში № 1.
3. საქართველოს რკინიგზის მეშვეობით გადაზიდვისას სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში მანძილი იანგარიშება:

   ა) რუსეთის შემთხვევაში – სადგურ განთიადს + 6კმ

   ბ) სომხეთის შემთხვევაში – სადგურ სადახლოს + 9კმ

   გ) აზერბაიჯანის შემთხვევაში – სადგურ გარდაბანს + 9კმ

4. სატარიფო მიზნებისთვის, საფრთხეშემცველ ტვირთებად ითვლება ცხრილი №4-ით დადგენილი შესაბამისი ტვირთები.

5. სატარიფო მიზნებისთვის, მშრალ ტვირთებად ითვლება ტვირთები, რომელიც გადაიზიდება ვაგონებით, გარდა:
   ვაგონ-ცისტერნებით გადაზიდული ტვირთისა;
   რეფრიჟერატორული სექციებით გადაზიდული ტვირთისა;
   კონტეინერებით გადაზიდული ტვირთისა.

# მუხლი III. გადაზიდვების ღირებულების გაანგარიშების წესი და ტარიფების საბაზო განაკვეთები

1. გადაზიდვის ღირებულება იანგარიშება:

ა) ტვირთის ვაგონით გადაზიდვისას

**$C = T_{საანგ}$ ან მოცულობითი განაკვეთი ან სპეცტარიფი $x Q_{საანგ.\ წონა}$**

სადაც:

C _ ვაგონით ტვირთის გადაზიდვის ღირებულება, აშშ დოლარი ან ლარი;

$T_{საანგ.}$ – ერთი ტონა ტვირთის გადაზიდვის ღირებულება კონკრეტულ მანძილზე (აშშ დოლარი ან ლარი).

$Q_{საანგ.\ წონა}$ – გზავნილის საანგარიშო წონა (ტონა).

ამასთანავე,

$T_{საანგ.} = T_{საბაზო} x K_{ტვირთი} x K_{მანძ.მიმ.} x K_{ვაგ.საკუთ.}\ x K_{შეღავ.}$

სადაც:

$T_{საბაზო}$–ტარიფის საბაზო განაკვეთი, აშშ დოლარებში;

$K_{ტვირთი}$ – ტვირთის კოეფიციენტი;

$K_{მანძ.მიმ.}$ –მანძილის და მიმართულების კოეფიციენტი;

$K_{ვაგ.საკუთ.}$ –ვაგონის საკუთრების კოეფიციენტი;

$K_{შეღავ.}$–შეღავათის კოეფიციენტი

**ბ) კონტეინერის გადაზიდვისას**

$N_{კონტ.} = N_{საბაზო} x K_{მანძ.\ მიმ.}\ x K_{შეღავ.} x K_{ტვირთი.} x K_{კონტ.საკუთ.}$

სადაც:

$N_{კონტ.}$ – კონტეინერით ტვირთის გადაზიდვის ღირებულება კონკრეტულ მანძილზე, აშშ დოლარებში;

$N_{საბაზო}$ – კონტეინერის ტარიფის საბაზო განაკვეთი,აშშ დოლარებში;

$K_{მანძ.მიმ.}$– მანძილის და მიმართულების კოეფიციენტი;

$K_{შეღავ.}$ – შეღავათის კოეფიციენტი;

$K_{ტვირთი}$ – ტვირთის კოეფიციენტი;

$K_{კონტ.საკუთ.}$ – კონტეინერის საკუთრების კოეფიციენტი

**გ)ცარიელი ვაგონის მიმოსვლისას**

$N_{ვაგონი} = N_{გან} x N_{ღერძ.} x L_{მანძ.}$

სადაც:

$N_{ვაგონი}$–ცარიელი ვაგონის მიმოსვლის ღირებულება, აშშ დოლარებში;

$N_{გან}$–ღერძ-კილომეტრის განაკვეთი, აშშ დოლარებში;

$N_{ღერძ.}$– ვაგონის ღერძების რაოდენობა;

$L_{მანძ.}$ – მანძილი, კილომეტრი;

**დ) კონტრეილერის (ინტერმოდალური სატრანსპორტო ერთეულის-ИТЕ (გარდა კონტეინერის) და ავტოსატრანსპორტო საშუალების-ATC) გადაზიდვის ღირებულება გაიანგარიშება ტვირთის ვაგონით გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშების არსებული წესით**

ე) გადაზიდვის ღირებულების განსაზღვრისას წინამდებარე დოკუმენტით გაანგარიშებული:

- $T_{საანგ}$, მრგვალდება სრულ ცენტამდე (0.5 ცენტი და მეტი მრგვალდება ცენტამდე), ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება), შემდეგ გადაიყვანება ლარში I მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და მრგვალდება სრულ თეთრამდე (0.5 თეთრი და მეტი მრგვალდება თეთრამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება);
- $N_{კონტ}$ მრგვალდება სრულ აშშ დოლარამდე (50 ცენტი და მეტი მრგვალდება აშშ დოლარამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალის წინება), შემდეგ გადაიყვანება ლარში I მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და მრგვალდება სრულ ლარამდე (50 თეთრი და მეტი მრგვალდება ლარამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება).
- $N_{ვაგონი}$ მრგვალდება სრულ ცენტამდე (0.5 ცენტი და მეტი მრგვალდება ცენტამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება), შემდეგ გადაიყვანება ლარში I მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და მრგვალდება სრულ ლარამდე (50 თეთრი და მეტი მრგვალდება ლარამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება);
- გადაზიდვის ღირებულების (C, Nკონტ, Nვაგონი პლუს გამცილებლების მგზავრობის ღირებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში) დარიცხვა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში წინამდებარე დოკუმენტის პირველი მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად და მრგვალდება სრულ ლარამდე (50თეთრი და მეტი მრგვალდება ლარამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება).

2. დანართის №2 ცხრილში წარმოდგენილია ტარიფების საბაზო განაკვეთები ტვირთის ერთეულისთვის (ტონა, კონტეინერი) გადაზიდვის მანძილის შესაბამისად.
3. დანართის ცხრილ $2^{ა}$ -ში წარმოდგენილია ტარიფების საბაზო განაკვეთები ტვირთის ერთეულისთვის (კონტეინერი) გადაზიდვის მანძილის შესაბამისად *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*
4. ტვირთის გადაზიდვისას გზავნილის საანგარიშო წონას წარმოადგენს გზავნილის ფაქტიური წონა დამრგვალებული სრულ ტონამდე, მაგრამ არანაკლებ წონითი კატეგორიისა. 500 კილოგრამი და მეტი მრგვალდება სრულ ტონამდე, ხოლო 500 კილოგრამზე ნაკლები არ გაითვალისწინება. ამასთან, ტვირთის გადასაზიდი საშუალებებით გადაზიდვისას, აგრეთვე ვაგონებით მოსახსნელი და მოუხსნელი სამაგრი სამარჯვეებით გადაზიდვისას, როდესაც მისი წონა არ არის ჩართული ვაგონის ტარის წონაში, ფაქტიური წონა მოიცავს ტვირთის ნეტო წონას, გადასაზიდი საშუალებებისა და სამაგრების წონის ჯამს.
5. შეზღუდული წონის სარკინიგზო უბნებზე გადაზიდვისას, თუ საანგარიშო წონა ტოლია წონის შეზღუდვის მაჩვენებელისა, მაშინ გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშებისას აიღება 60 ტონიანი წონითი კატეგორიის განაკვეთები, საქართველოს რკინიგზის მთელ მარშრუტზე მსვლელობისას. ვაგონში შეზღუდულ საანგარიშო

წონაზე ნაკლები ტვირთის გადაზიდვის ღირებულება იანგარიშება საერთო წესების მიხედვით. დანართის №3 ცხრილში წარმოდგენილია შეზღუდული წონის სარკინიგზო უბნები.

6. ერთი გამცილებლის მგზავრობის საფასური ყოველ დაწყებულ 100კმ-ზე შეადგენს 14.00 აშშ დოლარს.

7. საქართველოს რკინიგზის გამგზავნი სადგურის მონაწილეობით “ნავთობისა და ნავთობპროდუქტების” ვაგონ-ცისტერნებით გადაზიდვისას, ტვირთის გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება 60 ტონიანი წონითი კატეგორიის განაკვეთებით და გზავნილის ფაქტიური წონის (დამრგვალებული სრულ ტონამდე) გათვალისწინებით. ეს წესი არ ვრცელდება სხვა რკინიგზებზე დატვირთულ და შემდგომ საქართველოში გადამისამართებულ გადაზიდვებზე.

8. ცალკე ლოკომოტივით ან/და შეზღუდული სიჩქარით (გარდა შიდა სასადგურო გადაზიდვისას) რკინიგზის სატვირთო ვაგონით ტვირთის გადაზიდვის ერთი ტონა-კილომეტრის ტარიფი შეადგენს 0.55 აშშ დოლარს. თითოეული დატვირთული ვაგონი ითვლება ცალკე გზავნილად და მისი წონა შეადგენს ტვირთის ფაქტიური წონა დამრგვალებული სრულ ტონამდე, ხოლო ცარიელი სატვირთო ვაგონის (8606, 9922,9920,9924) და სამომსახურეო-ტექნიკური ვაგონის შემთხვევაში- ვაგონის ტარა დამრგვალებული სრულ ტონამდე, საკონტეინერო გზავნილის შემთხვევაში-კონტეინერის ბრუტო წონა დამრგვალებული სრულ ტონამდე. ამასთან, საკუთარი სატვირთო ვაგონის მიმართ დამატებით გამოიყენება, მუხლი VI. პირველი პუნქტით დადგენილი, კოეფიციენტი-0,85 .

ცალკე ლოკომოტივით ან/და შეზღუდული სიჩქარით (გარდა შიდა სასადგურო გადაზიდვისას) მოძრავი შემადგენლობის: 8601-8605 საკუთარ ღერძებზე გადაზიდვისას ერთი ტონა-კილომეტრის ტარიფი იანგარიშება ამ პუნქტით განსაზღვრული რკინიგზის სატვირთო ვაგონით ტვირთის გადაზიდვის ტარიფის მიმართ დამატებით კოეფიციენტ 0,5-ის გამოყენებით. მოძრავი შემადგენლობის თითოეული ერთეული ითვლება ცალკე გზავნილად და გზავნილის წონა შეადგენს ერთეულის ფაქტიური წონა დამრგვალებული სრულ ტონამდე. ამასთან, 120 ტონაზე მეტი წონის თბომავლისა და ელმავლის (8601, 8602) გადაზიდვის ღირებულება განისაზღვროს ფორმულით:

C ღირებულება = 0.275 * 120 * K მანძილი +0.05 * (Q წონა -120) * K მანძილი

სადაც Q წონა- არის თბომავლის/ელმავლის ფაქტიური წონა დამრგვალებული სრულ ტონამდე:

Kმანძილი - გადაზიდვისმანძილი , კმ.

აღნიშნული გადაზიდვების ორი ლოკომოტივით განხორციელებისას დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი-1.6.

აღნიშნული გადაზიდვების 300 კილომეტრზე მეტი მანძლზე განხორციელებისას დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი-0.8.

თითოეული გზავნილის გადაზიდვის ღირებულება მრგვალდება სრულ ცენტამდე (0.5 ცენტი და მეტი მრგვალდება ცენტამდე), ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება), შემდეგ გადაიყვანება ლარში I მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და მრგვალდება სრულ ლარამდე (50 თეთრი და მეტი მრგვალდება ლარამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება).

9. საბაზო და სპეცტარიფებით განხორციელებულ დატვირთულ/ცარიელ 20 ფუტიანზე მეტი და 40 ფუტიანზე მეტი კონტეინერის გადაზიდვაზე და სადგურის მომსახურებაზე გავრცელდეს 40 ფუტიანი კონტეინერის შესაბამისი ტარიფი და საფასური, თუ პუნქტში კონკრეტულად სხვა არ არის მითითებული.

10. საქართველოს რკინიგზის გამგზავნი სადგურის მონაწილეობით შავი ლითონის ჯართის (7204) გადაზიდვისას ვაგონში 30-50 ტონის ფაქტიური წონის მქონე გზავნილებისთვის, ტვირთის გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება 50 ტონიანი წონითი კატეგორიის განაკვეთებით, გზავნილის ფაქტიური წონის სრულ ტონამდე დამრგვალების პირობით.

11. შიდასასადგურო გადაზიდვის ღირებულება, ფაქტიური მანძილის მიუხედავად, იანგარიშება 10 კილომეტრი გადაზიდვის მანძილისათვის. ამასთან, ბორანით ტვირთის გადაზიდვისას, როდესაც გამგზავნი/მიმღები შესაბამისად არის ფოთში ან ბათუმში გადაზიდვის ღირებულება არ ერიცხება.

12. რეფკონტეინერით (გარდა რეფკონტეინერებისა ბმულის შემადგენლობაში) და კონტეინერ-ცისტერნებით (ტანკ-კონტეინერი) ტვირთის გადაზიდვისას, გადაზიდვის ღირებულება განისაზღვრება კონტეინერებისათვის დადგენილი სატარიფო პირობების (მუხლი III.-ის პირველი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტი) მიმართ დამატებითი კოეფიციენტ - 1,35 ის გამოყენებით. ამასთან, ყველა სხვა სახის კონტეინერების გადაზიდვისას, გამოიყენება მუხლი III.-ის პირველი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის სატარიფო პირობა.

## მუხლი IV. ტარიფების მაკორექტირებელი კოეფიციენტები ტვირთის სახეობის მიხედვით ($K_{ტვირთი}$)

1. მაკორექტირებელი კოეფიციენტები ტვირთის სახეობის მიხედვით მოცემულია დანართის სახით ცხრილში № 4. ამასთან, ტვირთის კონტეინერით გადაზიდვისას გამოიყენება მხოლოდ საფრთხეშემცველი ტვირთების და არაგაბარიტული ტვირთის (ღია ტიპის კონტეინერში) დადგენილი კოეფიციენტები.

## მუხლი V. ტარიფების მაკორექტირებელი კოეფიციენტები მანძილების და გადაზიდვის მიმართულების მიხედვით ($K_{მანძ.მიმ}$)

1. ტარიფების საბაზო განაკვეთების მიმართ ვრცელდება კოეფიციენტი 0.5, გარდა:

- სადგურებიდან ბათუმი, ფოთი სადგურ სადახლოს გავლით და სადგურ სადახლოს გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე “ნავთობისა და ნავთობპროდუქტების” სავაგონო და ყველა ტვირთის საკონტეინერო გადაზიდვისას;
- ბათუმის, ფოთის პორტში დატვირთულ ტვირთებზე (მათ შორის კონტეინერი) სადგურ სადახლოს გავლით და სადგურ სადახლოს გავლით ბათუმის, ფოთის პორტში დაცლილ ტვირთებზე (მათ შორის კონტეინერი).

ამ პუნქტში აღნიშნულ გამონაკლისს შემთხვევებში “ნავთობისა და ნავთობპროდუქტების” ვაგონით გადაზიდვისას ვრცელდება ბათუმისათვის კოეფიციენტი - 1.1, ფოთისათვის კოეფიციენტი - 1.2, ხოლო სხვა ტვირთზე-0.83. ეს კოეფიციენტები ვრცელდება ბორნიდან შემოსულ/გასულ ტვირთებზეც. ამასთან, საქართველოს რკინიგზის სხვა სადგურებიდან “ნავთობისა და ნავთობპროდუქტების” სომხეთში ვაგონით გადაზიდვისას, ვრცელდება სადგურ ფოთი-სადახლო ექსპ. დადგენილი გადაზიდვის ტარიფი.

2. სადგურებიდან ბათუმი, ფოთი, ფართოწყალი სადგურ სადახლოს ან სადგურ გარდაბანის გავლით გადაზიდვისას გამოიყენება კოეფიციენტი 1.2, მათ შორის პორტიდან, ბორნიდან შემოსულ ტვირთებზე.

3. საქართველოს რკინიგზაზე სადგურ გარდაბნის გავლით შემოსულ "ნავთობის და ნავთობპროდუქტების" გადაზიდვის შემთხვევაში 75 კმ-ის ჩათვლით ნაკლებ მანძილზე ვრცელდება კოეფიციენტი - 4, ხოლო 76 კმ-დან 100 კმ-ის ჩათვლით მანძილზე - 3.5, ამ ტვირთების სხვა მიმართულებებით გადაზიდვისას 100 კმ-ის ჩათვლით ნაკლებ მანძილზე ვრცელდება კოეფიციენტი- 2,5, ხოლო დანარჩენი ტვირთებისთვის საქართველოს რკინიგზაზე 50 კმ-ის ჩათვლით ნაკლებ მანძილზე გადაზიდვისას ვრცელდება კოეფიციენტი - 2. *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

4. საქართველოს რკინიგზის ძირითადი ხაზის განშტოებებზე გადაზიდვის შემთხვევაში ვრცელდება კოეფიციენტი 1. ამასთან, თუ ეს გადაზიდვა ხორციელდება ძირითადი ხაზის მეშვეობით, გადაზიდვის ღირებულება იანგარიშება როგორც ტეხილი ტარიფი, ანუ ჯამი განშტოებაზე და ძირითად ხაზზე გადაზიდვის ტარიფების. ძირითადი ხაზის განშტოებები მოცემულია დანართის სახით ცხრილში № 6.

5. მოკლე მანძილის და განშტოების კოეფიციენტი ერთდროულად არ გამოიყენება. მათ შორის აიღება მაქსიმალური.

6. ცისტერნებით ტვირთის გადაზიდვისას გამოიყენება კოეფიციენტი 2, გარდა "ნედლი ნავთობის", მეთანოლის და "ნავთობპროდუქტების" გადაზიდვისას, როდესაც დანიშნულების სადგური საქართველოს რკინიგზის სადგურია და გადაზიდვისას, რომელიც სადგურ გარდაბნის გავლით ხორციელდება. ამასთან, სხვა ტვირთების ცისტერნებით გადაზიდვისას ფოთის ან ბათუმის პორტიდან სადგურ სადახლოს გავლით და უკუმიმართულებით, ფოთის ან ბათუმის პორტიდან სადგურ გარდაბნის გავლით ცისტერნებით ტვირთების გადაზიდვის შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებული კოეფიციენტი არ გამოიყენება.

   ამ პუნქტში მოცემული პირობები ვრცელდება ბორნიდან შემოსულ ან გასულ ტვირთებზეც.

7. საჩხერე-ზესტაფონის განშტოებაზე მდებარე სადგურებიდან გაგზავნით ქვიშის (პოზიცია- 25051000, 25059000) გადაზიდვისას დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი 0,5.

8. კონტეინერის (დატვირთული, ცარიელი) გადაზიდვისას (გარდა სხვა რკინიგზიდან შემოსულის გადამისამართებისას), როდესაც გამგზავნი და დანიშნულების სადგურები ორივე საქართველოს რკინიგზის სადგურია, დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი:
   - 3 და 5 ტონიანი, 10 და 20 ფუტიანი უნივერსალური კონტეინერის გადაზიდვისას:
     დატვირთულისთვის- 0.60 , ხოლო ცარიელისთვის- 0.35;
   - 20-ზე მეტი, 30, 40 და მეტი ფუტიანი უნივერსალური კონტეინერის გადაზიდვისას:
     დატვირთულისთვის- 0.23, ხოლო ცარიელისთვის- 0.10;
   - რეფკონტეინერების ბმულისათვის, რეფკონტეინერისათვის და ტანკ-კონტეინერისათვის - 0,50.

9. სადგურ ფოთიდან, ბათუმიდან, მათ შორის პორტიდან და ბორნიდან, ქვემოთ ჩამოთვლილი ტვირთების ვაგონით გადაზიდვისას, როდესაც ტვირთის დანიშნულების ქვეყანა აზერბაიჯანის რესპუბლიკაა, დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტები:
   - მილების (7303-7306) გადაზიდვისას - 1,4;

- ალუმინის ოქსიდის (თიხამიწის) (28182) გადაზიდვისას - 1,03;
- შავი ლითონი და მისი ნაწარმის (72, 73 , გარდა 7303-7306) გადაზიდვისას - 1,2.

10. სადგურ გარდაბნის გავლით ფოთამდე, ბათუმამდე, ფართოწყლამდე, მათ შორის პორტების დანიშნულებით და ბორნის გავლით (გარდა, საქართველოს დანიშნულებით მოსული ტვირთისა), ქვემოთ მოყვანილი ტვირთის ვაგონით (ამ პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტის ტვირთის ცისტერნით) გადაზიდვისას, დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტები:

ა) "ნედლი ნავთობი და ნედლი ნავთობპროდუქტები"-სთვის (2709) – 1,7 (ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით);

ბ) ნავთობპროდუქტებისთვის (2712, 2713 (გარდა 27131100 და 27131200), 27149000, 2715, 2721-2749, 340319, 340399, 3404, 381121, 381129, 38170050, 38241000) გადაზიდვისას-1,25, გარდა: მაზუთისთვის (2743, 2744) და ვაკუუმური გაზოილისათვის (2742), როდესაც გამომგზავნი ქვეყანა ყაზახეთის რესპუბლიკაა- 0,75;

გ) ალუმინის და მისი ნაწარმისათვის (7601-7616), როდესაც ტვირთის გამომგზავნი აზერბაიჯანის რკინიგზის სადგურია- 1,1. (მოქმედება შეჩერებულიაა 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით);

დ) თხევადი გაზის (2711) გადაზიდვისას (ცისტერნებით), როდესაც გამომგზავნი სადგური ყაზახეთის რკინიგზის სადგურია - 2,0 (ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით);

11. სადგურ გარდაბანი ექსპ. - ფოთი/ბათუმი (მათ შორის პორტები) მიმართულებით აზოტოვანი სასუქის (კარბამიდი, კოდი- 31021) გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა თურქმენეთი ან უზბეკეთის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეცტარიფი: ინვენტარულ ვაგონზე - 9,00/9,75 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე, საკუთარ (არენდირებულ) ვაგონზე - 6,39/6,87 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე. აღნიშნული მოიცავს, გზადმდებარე სადგურებში, საკუთარი ცარიელი ვაგონის სადგურის მომსახურების საფასურებს *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

12. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ფოთამდე/ბათუმამდე (მათ შორის პორტები) ქვანახშირის (2701) ვაგონებით (ინვენტარული, საკუთარი) გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა ყაზახეთის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი - 8,25 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე, საკუთარი ცარიელი ვაგონის სადგურის მომსახურების საფასურისა და ცარიელი გარბენის ღირებულების ჩათვლით. *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

13. სადგურებიდან ფოთი/ფოთის ბორნიდან/ფოთის პორტიდან, ბათუმი/ბათუმის ბორნიდან/ბათუმის პორტიდან – გარდაბანის გავლით და უკუმიმართულებით (გარდა სხვა რკინიგზიდან შემოსულის გადამისამართებისას), მშრალი ტვირთის გადაზიდვისას, გარდა აზერბაიჯანის რკინიგზის სადგურებიდან/-ში, დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტი 0,9.

14. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ფოთამდე/ბათუმამდე (მათ შორის პორტებამდე) გრანულირებული გოგირდის (გნგ-ს კოდი- 2503) ვაგონით გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა თურქმენეთია, დადგინდეს სპეცტარიფი: ინვენტარულ ვაგონზე - 8,00/9,00 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე, საკუთარ (არენდირებულ) ვაგონზე - 5,39/6,12 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

15. ტაჯიკეთის რკინიგზის სადგურებიდან ფოთის (მათ შორის პორტის) დანიშნულებით ალუმინის (7601-7616) გადაზიდვისას დადგინდეს სპეც. ტარიფი 10,35 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

16. სადგურ ვაზიანიდან სადგურ ბათუმის, მათ შორის პორტის /ფართოწყალის დანიშნულებით მაზუთის (2743-2744) გადაზიდვაზე დადგინდეს სპეცტარიფი 10 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

17. სადგურ ბათუმიდან/ფოთიდან, მათ შორის პორტებიდან, სადგურ გარდაბნის გავლით აზერბაიჯანის რესპუბლიკის დანიშნულებით ტვირთის კოდებით: 2304,2306, მათ შორის შროტის, გადაზიდვისას დადგინდეს სპეც. ტარიფი ერთ ტონა ტვირთზე 14,00/13,00 აშშ დოლარის ოდენობით *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

18. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე, მათ შორის პორტები, ტვირთის კოდებით: 0713; 1001; 1003; 1005; 1201; 1204-1207; საკუთარი (არენდირებული) ვაგონით (ხორბალმზიდი, დახურული) გადაზიდვისას, როდესაც ტვირთის გამომგზავნი ქვეყანა ყაზახეთის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი კასპიის ბორანის გავლით (ალიატი) ბათუმამდე, ფოთამდე - 10,31 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

19. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე (მათ შორის პორტები) არარაფინირებული სპილენძის (7402) საკუთარი (არენდირებული) და რკინიგზის ინვენტარული პარკის ვაგონით გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა ყაზახეთის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი: ბათუმამდე/ფოთამდე - 15,47 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

20. ფოთი-კავკაზი-ფოთის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის მონაწილეობით *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით):*

    ა) სადგური სადახლო ექსპ. - სადგურ ფოთის გავლით სავაგონო გადაზიდვის ტარიფების მიმართ დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტი: ბენტონიტის (25081), ცეოლიტის (6811), საამშენებლო ქვისა და არაალკოჰოლური სასმელების გადაზიდვაზე-0,56; პერლიტის (25301000) გადაზიდვაზე-0,65; სპირტისა და მისი ნაწარმის (2207;2208) გადაზიდვაზე (გარდა ცისტერნებით გადაზიდვისას) - 0,50; სხვა ტვირთებზე - 0,70;

    ბ) სადგური ფოთი - სადგურ სადახლოს ექსპ. გავლით სავაგონო გადაზიდვის ტარიფების მიმართ დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტი: ქვანახშირის (27011900), სახერხი მასალისა (4407) და საბურავების (4011) გადაზიდვაზე-0,56; სპირტისა და მისი ნაწარმის (2207; 2208) გადაზიდვაზე (გარდა ცისტერნებით გადაზიდვისას)- 0,50; სხვა ტვირთებზე (გარდა ნავთობპროდუქტებისა და ხორბლის გადაზიდვისას)- 0,65.

21. ფოთის/ბათუმის ბორნიდან - სადგურ სადახლოს გავლით ხორბლის (1001) სავაგონო გადაზიდვის ტარიფების მიმართ დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტი - 0,86 *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

22. სადგურ ფოთიდან,ბათუმიდან (მათ შორის პორტებიდან) საკუთარი (არენდირებული) ვაგონით შაქრის ნედლეულის (170114 შაქრის ლერწამი) თურქმენბაშის/კურიკის, აქტაუს ან სამურის გავლით ცენტრალური აზიის ქვეყნების (გარდა უზბეკეთის და ყაზახეთის რესპუბლიკის) დანიშნულებით გადაზიდვისას, დადგინდეს სპეცტარიფი 9,00/11,96 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

23. სადგურ გარდაბანის გავლით ფოთი/ბათუმის (მათ შორის პორტი) მიმართულებით ნავთობის კოქსის (კოდი-27131200, 27131100) გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა აზერბაიჯანის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი: ინვენტარულ ვაგონზე 11,25/12,38 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე, საკუთარ (არენდირებულ) ვაგონზე 8,64/9,50 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

24. აზერბაიჯანის რკინიგზიდან სადგურ გარდაბნის გავლით ფოთამდე/ბათუმამდე (მათ შორის პორტები) ცემენტის კლინკერის (25231000) ვაგონებით გადაზიდვისას, დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტი - 0,7 *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

25. სადგურ სადახლო ექსპ. გავლით სადგურ ფოთი-პორტის დანიშნულებით სპილენძის კონცენტრატის (2603) სავაგონო გადაზიდვისას დადგინდეს სპეცტარიფი 16,25 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

26. სადგურ გარდაბანის გავლით ფოთის/ბათუმის (მათ შორის პორტი) დანიშნულებით აზოტოვანი სასუქის (კარბამიდი, კოდი-31021) ვაგონებით (ინვენტარული, საკუთარი) გადაზიდვაზე, როდესაც ტვირთის გამომგზავნი ქვეყანა აზერბაიჯანის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეცტარიფი 6,75/7,15 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე. ამასთან, ვაგონში 55 და მეტი ტონა დატვირთვის პირობებისათვის, საკუთარი ვაგონის ტარიფი მოიცავს ცარიელი ვაგონის უკან დაბრუნების ღირებულებასაც *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

27. სადგურ ფოთიდან, მათ შორის პორტიდან, კოპტონის (02109990) კურიკის ან აქტაუს გავლით უზბეკეთის რესპუბლიკის დანიშნულებით საკუთარი ვაგონით გადაზიდვისას, დადგინდეს სპეც. ტარიფი ერთ ტონა ტვირთზე - 8,93 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, გზავნილის საანგარიშო წონას წარმოადგენს მისი ფაქტიური წონა, დამრგვალებული სრულ ტონამდე, მაგრამ არანაკლებ 55 ტონისა.“*(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

28. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე (მათ შორის პორტები) გოგირდის (2503, 2802) საკუთარი (არენდირებული) ვაგონით გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა ყაზახეთის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი 8,00 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

29. სადგურ დედოფლის წყაროდან სადგურ რუსთავამდე/კასპამდე კირქვის (25171020) რკინიგზის ინვენტარული პარკის ვაგონით გადაზიდვისას, დადგინდეს სპეც.ტარიფი ერთ ტონა ტვირთზე შესაბამისად - 5,00/6,50 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო საკუთარი ვაგონებით გადაზიდვისას-4,25/5,53 აშშ დოლარი. ამასთან, ტვირთის მინიმალური საანგარიშო წონა შეადგენს- 60 ტონას *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

30. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ფოთამდე (მათ შორის პორტები) ფეროშენადნობის (7202) საკუთარი (არენდირებული) ვაგონებით გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა ყაზახეთის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი - 7,86 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

31. უკრაინის რკინიგზის სადგურებში ან სადგურ ფოთში/ბათუმში 40 და 40-ზე მეტ ფუტიან რეფკონტეინერში ტვირთის დატვირთვის პირობებისათვის, სადგურ გარდაბნის გავლით დატვირთული და უკუმიმართულებით ცარიელი, რეფკონტეინერის გადაზიდვის ღირებულება შეადგენს: დატვირთული/ცარიელი - 247/123 აშშ დოლარს რეფკონტეინერზე. ამასთან, ცარიელი რეფკონტეინერის გადაზიდვის ღირებულება, ვრცელდება ყველა გადაზიდვაზე, მათ შორის აზერბაიჯანის საკონტეინერო მატარებლით. *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

32. საქართველოს რკინიგზაზე სადგურ გარდაბნის გავლით შემოსულ ხორბლის (1001) გადაზიდვის შემთხვევაში 125 კმ-ის ჩათვლით ნაკლებ მანძილზე ვრცელდება სპეც. ტარიფი - 4,50 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

33. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ფოთამდე/ბათუმამდე (მათ შორის პორტები) ქვანახშირის კოქსის (27040010) საკუთარი (არენდირებული) ვაგონებით გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა ყაზახეთის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი - 7,20 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე. ამასთან გზავნილის საანგარიშო წონას წარმოადგენს მისი ფაქტიური წონა, დამრგვალებული სრულ ტონამდე, მაგრამ არანაკლებ 55 ტონისა. *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

34. სადგურ გარდაბანი ექსპ. - ფოთი/ბათუმის ბორნების გავლით უკრაინის დანიშნულებით ბიტუმის (კოდი- 27132000) საკუთარი (არენდირებული) და რკინიგზის ინვენტარული პარკის ვაგონებით გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა აზერბაიჯანის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი: საკუთარი (არენდირებული) ვაგონით გადაზიდვისას ფოთი/ბათუმი - 10,82/ 12,48 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე, ინვენტარული პარკის ვაგონის შემთხვევაში: ფოთი/ბათუმი - 13,61/ 15,57 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

35. სადგურ გარდაბანი ექსპ. - ფოთი/ბათუმის ბორნების გავლით უკრაინის დანიშნულებით ბიტუმის (კოდი- 27132000) გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა თურქმენეთის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი: ინვენტარული ვაგონზე - 5,75 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე, საკუთარ (არენდირებულ) ვაგონზე - 4,44/4,31აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

36. სადგურ ფოთიდან, ბათუმიდან (მათ შორის პორტი, ბორანი) სადგურ სადახლოს გავლით მარცვლეულის (1002-1004;1006-1008) სომხეთის დანიშნულებით გადაზიდვისას, დადგინდეს სპეცტარიფი 13,93 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

37. სადგურ გარდაბანი ექსპ. - ფართო წყლის (ყულევის) მიმართულებით ბიტუმის (კოდი- 27132000) ვაგონებით გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა აზერბაიჯანის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი ერთ ტონა ტვირთზე: საკუთარ (არენდირებულ) ვაგონზე - 10,82 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო ინვენტარულ ვაგონზე - 13,61 აშშ დოლარი *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

38. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ფოთამდე/ბათუმამდე (მათ შორის პორტებამდე) ამონიუმის ნიტრატის (31023090) და კალიუმის ქლორიდის (31042050) გადაზიდვისას,

როდესაც გამომგზავნი ქვეყანა უზბეკეთია, გადაზიდვის ტარიფების მიმართ დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტი - 1.25 (მინიმალური საანგარიშო წონა შეადგენს 60 ტონას) *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

39. სადგურ რუსთავიდან სადგურ სადახლოს გავლით ცემენტის (25232) სომხეთის დანიშნულებით გადაზიდვისას, დადგინდეს სპეცტარიფი 5,45 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

40. სადგურ კასპიდან სადგურ სადახლოს გავლით ცემენტის კლინკერის (25231) სომხეთის დანიშნულებით გადაზიდვისას, დადგინდეს სპეცტარიფი 7,13 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

41. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე (მათ შორის პორტები) ფერადი ლითონისა და მისი ნაწარმის (ტვირთის კოდებით: 7403, 7601, 7801, 7901), საკუთარი (არენდირებული) და რკინიგზის ინვენტარული პარკის ვაგონით გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი ქვეყანა ყაზახეთის რესპუბლიკაა, დადგინდეს სპეც.ტარიფი ბათუმამდე,ფოთამდე: საკუთარი/ინვენტარული ვაგონით გადაზიდვისას 6,85/9,75 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

42. სადგურ ფოთიდან,ბათუმიდან (მათ შორის პორტებიდან) შაქარი და შაქრის ნედლეულის (1701), სოიოს მარცვლისა (1201) და შროტის (2304-2306) თურქმენბაშის, კურიკის ან აქტაუს/სამურის გავლით უზბეკეთის და ყაზახეთის რესპუბლიკის დანიშნულებით გადაზიდვისას, დადგინდეს სპეცტარიფი 9,70/11,96 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

43. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე, ფართო წყლამდე (მათ შორის პორტი) ზეთებისა და სხვა პროდუქტების (2707) გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი რუსეთის რკინიგზის სადგურია დადგინდეს სპეც.ტარიფი - 18,50 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31დეკემბრის ჩათვლით).*

44. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ფართო წყლამდე (ყულევი) პარაქსილოლისა (29024300) და ბენზოლის (29022000) სავაგონო გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი რუსეთის რკინიგზის სადგურია, დადგინდეს სპეც.ტარიფი: ინვენტარულ/საკუთარ ვაგონზე - 18,50/17,10 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31დეკემბრის ჩათვლით).*

45. სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ფართო წყლამდე (ყულევი) ტვირთის კოდით: 29091990 (ეფირები) გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი რუსეთის რკინიგზის სადგურია დადგინდეს სპეც.ტარიფი: ინვენტარულ/საკუთარ ვაგონზე - 12,70/11,30 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე *(ძალაშია 2024 წლის 31დეკემბრის ჩათვლით).*

## მუხლი VI. ტარიფების მაკორექტირებელი კოეფიციენტები ვაგონის და კონტეინერის საკუთრების მიხედვით ($K_{ვაგ.საკუთ,}$ $K_{კონტ.საკუთ.}$)

1. საკუთარი ვაგონით: ტვირთისა ან დატვირთული/ცარიელი კონტეინერის გადაზიდვისას გამოიყენება კოეფიციენტი 0,85, ხოლო საკუთარი რეფსექციით ტვირთის გადაზიდვისას – 0,80.

2. საკუთარი/ინვენტარული ვაგონით ცარიელი საკუთარი კონტეინერების გადაზიდვის შემთხვევაში დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი 0.5.

## მუხლი VII. ტარიფების მაკორექტირებელი მოცულობითი შეღავათის კოეფიციენტი($K_{შეღავ}$) და მოცულობითი ტარიფები

1. სატვირთო გადაზიდვების და მათთან დაკავშირებული მომსახურების მოცულობითი შეღავათები და ტარიფები გამოიყენება, როდესაც კლიენტი წინასწარ შეათანხმებს საქართველოს რკინიგზასთან შესაბამისი ტვირთის გადაზიდვების დაწყების თარიღს. მოცულობითი ტარიფით სარგებლობის უფლება სხვა პირზე დათმობას არ ექვემდებარება.

2. სატვირთო გადაზიდვების და მათთან დაკავშირებული მომსახურების მოცულობითი შეღავათების და ტარიფების ცვლილების შემთხვევაში ცვლილებები ვრცელდება მათი ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელებულ გადაზიდვებზე და მომსახურეობებზე.

3. სატვირთო გადაზიდვების და მათთან დაკავშირებული მომსახურების მოცულობითი ტარიფები დადგენილი გადაზიდვის მთელი მოცულობისთვის ვრცელდება თავიდანვე, თუ კლიენტი მისაღები შეღავათის უზრუნველყოფისთვის წარმოადგენს სს "საქართველოს რკინიგზა"-ის მიერ განსაზღვრული პირობებით საბანკო გარანტიას ან/და აკრედიტივს ან/და განახორციელებს საგარანტიო თანხის ჩარიცხვას სს „საქართველოს რკინიგზა"-ის საბანკო ანგარიშზე. ამასთან, შესაძლებელია:

   ა)გადაზიდვების მოცულობის მიხედვით მზარდი გარანტიის წარმოდგენა;

   ბ)მოცულობის შესრულებამდე გადაზიდვის განხორციელება არსებული ტარიფით, შემდგომში გადაზიდულ მთელ მოცულობაზე შეღავათიანი ტარიფით გადაანგარიშების პირობით. საბანკო გარანტიის გამცემი პირი შეიძლება იყოს არამხოლოდ ბანკი, არამედ სხვა საკრედიტო დაწესებულება და სადაზღვევო ორგანიზაციაც (გარანტი). ამასთან, არა ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიები ერთად უნდა შეადგენდეს კლიენტის ვალდებულების მთელი რისკის არაუმეტეს 25 პროცენტს. საკრედიტო დაწესებულება (გარდა ბანკისა) და სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებულია გადააზღვიოს საერთაშორისო სადაზღვევო ბაზარზე აღნიშნული რისკი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო "სტანდარდ ენდ პურსი (Standard & Poor`s)"-ს მინიმუმ BBB - რეიტინგის მქონე კომპანიებში. სს „საქართველოს რკინიგზა"-ის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისას ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

   გარდა ამისა, გარანტიის წარდგენის გარეშე შესაძლებელია დადგინდეს მოცულობით სატარიფო პირობა, როდესაც მოცულობითი ტარიფი რეალიზდება დადგენილი მოცულობის შესრულების შემდგომ გადაზიდულ ყოველ გადამეტებულ ტონაზე.

4. ერთი წლის განმავლობაში სადგურ გარდაბანის გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე, ფართო წყლამდე (ყულევი) ცისტერნებით ჯამში 1,1 მილიონი და მეტი ტონა ქვემოთ მოყვანილი ტვირთების გადაზიდვისას, მათ მიმართ დადგენილია მოცულობითი ტარიფები *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით):*

**ა)** ”ნედლი ნავთობი და ნედლი ნავთობპროდუქტები”-სთვის (2709) - მთელი მოცულობის ერთ ტონაზე 10.60 აშშ დოლარი უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით. ამასთან, როდესაც ტვირთის გამომგზავნ ქვეყანას წარმოადგენს:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკა - ეს ტარიფი შეადგენს 9,25 აშშ დოლარს;

- ყაზახეთის რესპუბლიკა - ეს ტარიფი შეადგენს 6,25 აშშ დოლარს;

- რუსეთის ფედერაცია - რუსეთის რკინიგზის სადგურების გაგზავნით ტარიფი შეადგენს 8,10 აშშ დოლარს.;

- თურქმენეთი, ერაყი (რკინიგზის სადგურ ასტარის გავლით) - ეს ტარიფი შეადგენს 6,25 აშშ დოლარს. ასევე, აღნიშნული ტარიფი ვრცელდება ერთი წლის განმავლობაში 500 ათასი და მეტი ტონა სხვა გამომგზავნი ქვეყნის ნედლი ნავთობის გადაზიდვისას, გადაზიდვის მთელ მოცულობაზე;

2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, როდესაც პირველადი გამომგზავნი ქვეყანა თურქმენეთია გადაზიდვის ტარიფი გარდაბანი ექსპ-ბათუმის მიმართულებაზე შეადგენს 5,75 აშშ დოლარს, უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ვაგონის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით.

**ბ)** “ნავთობპროდუქტები”-სთვის (2712, 2713 (გარდა 27131100 და 27131200), 27149000, 2715, 2721-2749, 340319, 340399, 3404, 381121, 381129, 38170050, 38241000), - მთელი მოცულობის ერთ ტონაზე 12.90 აშშ დოლარი. ამასთან, როდესაც მაზუთის (2743,2744) პირველად გამომგზავნ ქვეყანას წარმოადგენს:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკა- ტარიფი შეადგენს 12,00 აშშ დოლარს;

- თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი - ტარიფი შეადგენს 7,25 აშშ დოლარს;

- რუსეთის ფედერაცია - რკინიგზის სადგურ სანგაჩალის გაგზავნით ტარიფი შეადგენს 10,30 აშშ დოლარს; სადგურ სამურის გავლით - 6,55 აშშ დოლარს, ხოლო სადგურ ალიატის გავლით - 7,20 აშშ დოლარს, უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით;

- ყაზახეთის რესპუბლიკა - ტარიფი შეადგენს:

სადგურ ალიატის გავლით უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით, - 7,20 აშშ დოლარს;

სადგურ სამურის გავლით - 6,55 აშშ დოლარს უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით;

სხვა მიმართულებიდან - 9,90 აშშ დოლარს.

ამასთან, ერთი წლის განმავლობაში 500 ათასი და მეტი ტონა ტვირთვის გადაზიდვისას, გადაზიდვის მთელ მოცულობაზე, ტარიფი შეადგენს 7,20 აშშ დოლარს, უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით.

ამასთან, ნავთობპროდუქტებისათვის (2721-2742, მათ შორის ნაფტა, 2745-

2749) პირველად გამომგზავნ ქვეყანას წარმოადგენს:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკა- ვაკუუმური გაზოილისთვის (2742) ტარიფი შეადგენს 12,00 აშშ დოლარს, ხოლო სხვა ტვირთებისათვის-13,00 აშშ დოლარს;

- ყაზახეთის რესპუბლიკა- ყაზახეთის რკინიგზის სადგურების გაგზავნით ვაკუუმური გაზოილისათვის (2742) ტარიფი, უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით შეადგენს: სადგურ ალიატის გავლით - 6,70 აშშ დოლარს, ხოლო სადგურ სამურის გავლით - 6,55 აშშ დოლარს;

- რუსეთის ფედერაცია- რუსეთის რკინიგზის სადგურების გაგზავნით ვაკუუმური გაზოილისათვის (2742) ტარიფი შეადგენს 9,00 აშშ დოლარს, უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით, ხოლო დანარჩენი ტვირთებისათვის- 10,00 აშშ დოლარს, უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით;

- თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი - ტარიფი შეადგენს 7,25 აშშ დოლარს.

2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, როდესაც პირველადი გამომგზავნი ქვეყანა თურქმენეთია/ყირგიზეთია / უზბეკეთია გადაზიდვის ტარიფი გარდაბანი ბათუმის/ფართო წყლის (ყულევის) მიმართულებაზე შეადგენს 5,75/7,50 აშშ დოლარს, უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ვაგონის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით.

**გ)** ნავთობის, კუმარონის, ინდენისა ან კუმარონინდენის ფისები და პოლიტერპენები (პიროლიზური ფისები)"-სთვის (39111000), "პროპილის და იზოპროპილის სპირტი"-სთვის (29051200), „დაწნეხილი ბუტანი"-სთვის (271113)" „დაწნეხილი პროპანი"-სთვის (271112)" და "აციკლური ნახშირწყალბადი"-სთვის (29011000)", "ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი, ბუტადიენი"-სთვის (27111400), "პროპენი (პროპილენი)"-სთვის (29012200), "მეთანოლი"-სთვის (29051100) - მთელი მოცულობის ერთ ტონაზე 16 აშშ დოლარი. ამასთან, "თხევადი გაზებისათვის (271112; 271113)" და "აციკლური ნახშირწყალბადი"-სთვის (29011000)", როდესაც გამომგზავნი სადგური რუსეთის სადგურია, დადგენილი ტარიფი მოიცავს ცარიელი საკუთარი ვაგონის უკან დაბრუნების ღირებულებასაც, ხოლო თხევადი გაზის (2711) გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი სადგური ყაზახეთის რკინიგზის სადგურია, მთელი მოცულობის ერთ ტონა ტვირთზე, ტარიფი შეადგენს: სადგურ სამურის გავლით - 19,28 აშშ დოლარს, სადგურ ალიატის გავლით - 21,67 აშშ დოლარს, უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარილი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

ყაზახეთის რკინიგზის სადგურების გაგზავნით, ნავთობქიმიური ტვირთის (2902) გადაზიდვის ტარიფი შეადგენს:

- ცისტერნებით, სადგურ ალიატის გავლით - 6,70 აშშ დოლარს, სადგურ სამურის გავლით - 6,55 აშშ დოლარს ერთ ტონა ტვირთზე, უკან დასაბრუნებელი საკუთარი ცარიელი ცისტერნის გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით;

- დატვირთული ტანკ-კონტეინერის (20 ფუტიანი) - 124 აშშ დოლარს კონტეინერზე, ხოლო ცარიელი ტანკ-კონტეინერის გადაზიდვა სადგურ ბათუმიდან, ფოთიდან, ფართო წყლიდან (ყულევი) - სადგურ გარდაბანის გავლით - 62 აშშ დოლარს კონტეინერზე.

5. მუხლი VII-ის მე-4 პუნქტის ”ა”, ”ბ” და ”გ” ქვეპუნქტებში მითითებული ტვირთების მოცულობითი ტარიფების გავრცელების შემთხვევაში, გზავნილის საანგარიშო წონის დადგენისას აიღება ფაქტიური წონა დამრგვალებული სრულ ტონამდე.

6. მუხლი VII-ის მე-4 პუნქტის ”ა”, ”ბ” და ”გ” ქვეპუნქტებში მითითებული ტვირთების მოცულობითი ტარიფების გავრცელების შემთხვევაში, არ გამოიყენება ამ დოკუმენტის VI მუხლით დადგენილი კოეფიციენტები.

7. მუხლი VII-ის მე-4 პუნქტის ”ა” და ”ბ” ქვეპუნქტებში მითითებული ტვირთების მოცულობითი ტარიფების გავრცელების შემთხვევაში, საკუთარი ცარიელი ცისტერნის უკან დაბრუნებისას მათი გადაზიდვის ღირებულების განსაზღვრისას არ გამოიყენება ამ დოკუმენტის VIII მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული საფასურები.

8. მუხლი VII.-ს მე-4 პუნქტით დადგენილი გადაზიდვის მოცულობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტის მიერ მუხლი VII მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი გარანტიიდან ან ანგარიშიდან მიიღება/ეჭრება თანხა, რომელიც შეადგენს მინიმუმს მიღებულ ფასდათმობასა და მიუღებელ შემოსავალს (შეუსრულებელი გადაზიდვის მოცულობა გამრავლებული მოცულობით ტარიფზე) შორის. ამასთან, მიუღებელი შემოსავალის გადახდის შემთხვევაში, კლიენტს გადაზიდვის მოცულობითი პირობა შესრულებულად ეთვლება.

9. ერთი წლის განმავლობაში სადგურ ბათუმიდან/ფოთიდან (მათ შორის პორტიდან) სადგურ გარდაბნის გავლით შაქრის ნედლეულის (ლერწმის შაქარი-170114) აზერბაიჯანის რესპუბლიკის დანიშნულებით 200 ათასი და მეტი ტონა გადაზიდვისას, ამ გადაზიდვის მთელ მოცულობაზე დადგინდეს ტარიფი - 9,00 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე.

10. ერთი წლის განმავლობაში სადგურ ფოთიდან სადგურ სადახლოს გავლით 80 ათასი და მეტი ტონა ხორბლის (1001;1005) და შროტის (2304; 2306) სომხეთის დანიშნულებით გადაზიდვისას, დადგინდეს მოცულობით ტარიფი გადაზიდვის მთელ მოცულობაზე- 13,93 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე.

11. ერთი წლის განმავლობაში სადგურ ფოთიდან/ბათუმიდან (მათ შორის პორტები, ბორნები) ”ნავთობპროდუქტების“ და სადგურ ველიდან ნაფტას (27220000) და გაზოილის (ღუმელის საწვავის) (27420000) სადგურ სადახლოს გავლით სულ 200 ათასი და მეტი ტონა ამ ტვირთის სომხეთის დანიშნულებით გადაზიდვისას, დადგინდეს მოცულობით ტარიფი გადაზიდვის მთელ მოცულობაზე - 32 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე.

12. ორი წლის განმავლობაში სადგურ ფოთიდან (მათ შორის პორტი, ბორანი) სადგურ გარდაბნის გავლით 220 ათასი და მეტი ტონა ალუმინის ოქსიდის (28182) აზერბაიჯანის რესპუბლიკის დანიშნულებით ინვენტარული პარკის ვაგონებით გადაზიდვისას, დადგინდეს მოცულობით ტარიფი გადაზიდვის მთელ მოცულობაზე - 12,00 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე, ხოლო საკუთარი ვაგონებით გადაზიდვისას - 5,35 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე. აღნიშნული მოიცავს, გზადმდებარე სადგურებში, საკუთარი ცარიელი ვაგონის სადგურის მომსახურების საფასურებს.

13. ერთი წლის განმავლობაში სადგურ ფოთიდან საქართველოს რკინიგზის სადგურების დანიშნულებით 35 ათასი და მეტი ტონა მარცვლეულისა (1001, 1003, 1005) და შროტის

(2304, 2306) სავაგონო გადაზიდვისას, გადაზიდვის მთელ მოცულობაზე დადგინდეს მოცულობითი ტარიფი- დამატებითი კოეფიციენტი 0,35-ის გამოყენებით.

14. ერთი წლის განმავლობაში სადგურ ჭიათურიდან სადგურ ზესტაფონის დანიშნულებით 475 ათასი და მეტი ტონა მანგანუმის მადნისა და კონცენტრანტის (2602) სავაგონო (ინვენტარული, საკუთარი) გადაზიდვისას, გადაზიდვის მთელ მოცულობაზე დადგინდეს მოცულობითი ტარიფი - 1,75 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე, ამასთან, ცარიელი საკუთარი ვაგონის გადაზიდვა და სადგურის მომსახურება განხორციელდეს ინვენტარული ვაგონის გადაზიდვის პირობით.

15. ერთი წლის განმავლობაში, სადგურ ფოთიდან/ბათუმიდან (მათ შორის პორტებიდან) სადგურ გარდაბნის გავლით და უკუმიმართულებით სულ 13000 და მეტი დატვირთული კონტეინერის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში/-დან გადაზიდვაზე, დადგენილი ტარიფების მიმართ თითოეულ კონტეინერზე დადგინდეს ფასდათმობა 60 აშშ დოლარის ოდენობით.

16. ერთი წლის განმავლობაში სადგურ ფოთიდან სადგურ სადახლოს გავლით სულ 15 ათასი და მეტი ტონა სოიოს შროტის (2304) და მზესუმზირის შროტის (2306) სომხეთის დანიშნულებით გადაზიდვისას, დადგინდეს მოცულობით ტარიფი გადაზიდვის მთელ მოცულობაზე - 13,93 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე.

17. ერთი წლის განმავლობაში სადგურ ბათუმიდან (მათ შორის პორტიდან) სადგურ გარდაბნის გავლით 50 ათასი და მეტი ტონა სიმინდისა და პალმის ზეთის (15152100; 15111000) აზერბაიჯანის რესპუბლიკის დანიშნულებით საკუთარი ვაგონებით გადაზიდვისას, დადგინდეს მოცულობითი ტარიფი გადაზიდვის მთელ მოცულობაზე - 10 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე. ამასთან, გზავნილის საანგარიშო წონას წარმოადგენს მისი ფაქტიური წონა, დამრგვალებული სრულ ტონამდე, მაგრამ არანაკლებ 55 ტონისა.

18. ერთი წლის განმავლობაში ფოთის პორტიდან სადგურ სადახლოს გავლით 50 ათასი და მეტი ტონა შაქრის ნედლეულის (ლერწმის შაქარი-17011410) სომხეთის დანიშნულებით გადაზიდვისას, დადგინდეს მოცულობით ტარიფი გადაზიდვის მთელ მოცულობაზე - 22,83 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე.

19. ერთი წლის განმავლობაში სადგურ კასპიდან სადგურ სადახლოს გავლით 50 ათასი და მეტი ტონა ცემენტის კლინკერის (25231) სომხეთის დანიშნულებით გადაზიდვისას: 50 ათასი ტონის ჩათვლით გადაზიდვებს ერიცხება სპეც. ტარიფი მუხლი V.-ს 40-ე პუნქტის შესაბამისად, ხოლო ყოველ გადამეტებულ ტონაზე დადგინდეს მოცულობითი ტარიფი - 4,48 აშშ დოლარის ოდენობით ერთ ტონა ტვირთზე.

20. ერთი წლის განმავლობაში, სადგურ ფოთიდან/ბათუმიდან (მათ შორის პორტებიდან) სადგურ სადახლოს გავლით და უკუმიმართულებით სულ 1000 და მეტი დატვირთული 40 ფუტიანი კონტეინერის სომხეთის რესპუბლიკაში/-დან გადაზიდვაზე, არსებული ტარიფების მიმართ დადგინდეს მოცულობითი ტარიფი - დამატებითი კოეფიციენტი 0,75-ის გამოყენებით.

21. ერთი წლის განმავლობაში სადგურ დედოფლის წყაროდან სადგურ რუსთავამდე/კასპამდე 500 ათასი და მეტი ტონა კირქვის (25171020) რკინიგზის ინვენტარული პარკის

ვაგონით გადაზიდვისას, დადგინდეს მოცულობით ტარიფი გადაზიდვის მთელ მოცულობაზე -4,60/6,10 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე, ხოლო საკუთარი ვაგონებით გადაზიდვისას -3,91/5,19 აშშ დოლარი. ამასთან, ტვირთის მინიმალური საანგარიშო წონა შეადგენს- 60 ტონას.

# მუხლი VIII. დამატებითი საფასურები

1. გამგზავნი ან დანიშნულების სადგურის მომსახურების საფასური შეადგენს:

| სადგურები | სამანევრო ლოკომოტივი | ერთ ტონა ტვირთზე, აშშ დოლარებში | 3 და 5 ტონიანის, 10 და 20 ფუტიან კონტეინერზე, აშშ დოლარებში | 30 და 40 ფუტიან კონტეინერზე, აშშ დოლარებში | 40 ფუტიანზე მეტ კონტეინერზე აშშ დოლარებში | სრული გადაზიდვის საბუთით გაფორმებული ცარიელი ვაგონებისთვის თითოეულ ღერძზე, აშშ დოლარებში |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყველა, გარდა ცხრილ 1.1.-ის ჩამონათვალისა | რკინიგზის | 1.75 | 35.00 | 70.00 | 70.00 | 6.00 |
| | კლიენტის | 0.93 | 23.00 | 38.00 | 44.00 | 4.12 |
| ცხრილ 1.1.-ის ჩამონათვალი | რკინიგზის | 3.50 | 70.00 | 140.00 | 140.00 | 12.00 |
| | კლიენტის | 2.32 | 50.00 | 95.00 | 95.00 | 8.20 |

ა) აღნიშნული მომსახურება გულისხმობს რკინიგზების კუთვნილი ვაგონებისთვის მიწოდებას და გამოტანას, ხოლო საკუთარი ვაგონებისთვის მიწოდებას ან გამოტანას.

ბ) აღნიშნული მომსახურების საფასური მოიცავს: საბუთების გაფორმებას, მოძრავი შემადგენლობით სარგებლობას, საკუთარი ვაგონებისთვის ლიანდაგის დაკავებას, რკინიგზის კუთვნილი ჩიხის კარების გაღება-დახურვას, ტვირთის მიწოდება/გამოტანისთვის აუცილებელ სხვა ოპერაციებს.

გ) კლიენტის სამანევრო ლოკომოტივით მუშაობა გულისხმობს სადგურის ლიანდაგიდან/ლიანდაგამდე დაცლა–დატვირთვის ფრონტამდე/დან კლიენტის ლოკომოტივით მიწოდება – გამოტანის განხორციელებას.

დ) არაკომერციულ სადგურებში ტვირთის დაცლისას კლიენტთა მომსახურება განხორციელდეს გადაზიდვის მიმართულებით ამ სადგურამდე ბოლო კომერციულად მომუშავე სადგურიდან, ხოლო არაკომერციულ სადგურებიდან ტვირთის გაგზავნისას კლიენტთა მომსახურება განხორციელდეს გადაზიდვის მიმართულებით ამ სადგურიდან პირველ კომერციულად მომუშავე სადგურიდან, ცხრილ 1.1.-ში მითებული სადგურებისათვის დადგენილი საფასურებით, მიუხედავად იმისა თუ რომელი კომერციული სადგურებიდან, მათ შორის ცხრილი 1.1.-ის სადგურებიდან, ხდება მათი მომსახურება. არაკომერციული სადგურებიდან ტვირთის გადამისამართებას ახორციელებენ პირველადი დანიშნულების კომერციული სადგურები.

ე) საკუთარ ღერძებზე მოძრავ შემადგენლობის (8601-8606) და ვაგონების პოზიციებით (99221000,99222000,99224000) სადგურის მომსახურების საფასური განისაზღვრება ამ პუნქტში ერთ ტონა ტვირთზე დადგენილი საფასურით. ამასთან, სასასწორო - შესამოწმებელი ტექნიკური ვაგონზე (86040000) და მის მომსახურე სამგზავრო

ვაგონის (8605) მიმართ დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი - 0,5.

ვ) აღნიშნული მომსახურების გაწევისას მინიმალური საანგარიშო წონა შეადგენს 20 ტონას. ამასთან, 500 კილოგრამი და მეტი მრგვალდება სრულ ტონამდე, ხოლო 500 კილოგრამზე ნაკლები არ გაითვალისწინება.

ზ) საფრთხეშემცველი ტვირთით დატვირთული ვაგონის/კონტეინერის მომსახურების შემთხვევაში, დამატებით გამოიყენება ამ ტვირთის კოეფიციენტი ცხრილი №4-ის „ტვირთის სახეობის კოეფიციენტები" შესაბამისად.

2. საქართველოს რკინიგზაზე გამგზავნ სადგურში; ჯამში მსვლელობის გზაზე და დანიშნულების სადგურში კლიენტის მიზეზით 24 საათზე მეტი მომსახურებისას თითოეულ დაწყებულ დღე-ღამეზე რკინიგზის დამატებითი მომსახურების საფასური შეადგენს:

| რკინიგზის კუთვნილ ვაგონზე | 3 და 5 ტონიან, 10 და 20 ფუტიან კონტეინერზე რკინიგზის ვაგონით/ საკუთარი ვაგონით | 30 და 40 ფუტიან კონტეინერზე რკინიგზის ვაგონით/ საკუთარი ვაგონით | 40 ფუტიანზე მეტ კონტეინერზე რკინიგზის ვაგონით/ საკუთარი ვაგონით | რკინიგზის ინვენტარული პარკის ცარიელი საქარხნო სარემონტო სატვირთო ვაგონისათვის,საკუთარი: ვაგონისთვის, საკუთარ ღერძებზე მოძრავი შემადგენლობის ერთეულისთვის, სამომსახურეო-ტექნიკური ვაგონისთვის |
|---|---|---|---|---|
| 100.00 ლარი | 50,00/25,00 ლარი | 100,00/50,00 ლარი | 120.00/60,00 ლარი | 50.00 ლარი |

კლიენტის მისასვლელ ლიანდაგში ეს საფასურები დაერიცხება კონტეინერებს, თუ ერთ-ერთი ვაგონი ან კონტეინერი რკინიგზის კუთვნილებაა.

კლიენტის მიზეზით მსვლელობის გზაზე ტვირთის გადაზიდვის დაყოვნებისას, გარდა მსვლელობის გზაზე სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი სადგურის მომსახურებისას, იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულების სადგური არ წარმოადგენს საქართველოს რკინიგზის სადგურს, მაშინ რკინიგზის დამატებითი მომსახურების საფასურის დარიცხვა იწყება თითოეულ დაწყებულ დღე-ღამეზე დაყოვნების პირველივე საათიდან, ამ პუნქტით განსაზღვრული საფასურის შესაბამისად.

ა) მუხლი VII-ის მე-4 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში მითითებული ტვირთების მოცულობითი ტარიფების გავრცელების შემთხვევაში, მთელი მოცულობის ყოველ დატვირთულ ერთ ცისტერნაზე, დადგინდეს მომსახურების საფასური შემდეგი ოდენობით:

| პერიოდი | რკინიგზების ინვენტარული პარკის ცისტერნებისათვის, გარდა საქართველოს რკინიგზის ინვენტარული პარკის ცისტერნებისა, დღე-ღამეში | საკუთარი ცისტერნებისთვის დღე-ღამეში |
|---|---|---|
| მე-2 დღე-ღამიდან მე-9 დღე-ღამემდე | 50.00 ლარი | 2.00 ლარი |
| მე-9 დღე-ღამიდან | 100.00 ლარი | 20.0 ლარი |

- საქართველოს რკინიგზის ინვენტარული პარკის ცისტერნას ერიცხება 100 ლარი.

ბ) სადგურ _ გარდაბნის გავლით სადგურ ფოთამდე, ბათუმამდე საქართველოს ან აზერბაიჯანის რკინიგზის კუთვნილი ცისტერნებით პიროლიზური ფისის (39111000), უაიტ სპირიტისა (27210000) და იზოპროპილის სპირტის (29051200) საერთაშორისო გადაზიდვისას ყოველ ერთ ცისტერნაზე დადგინდეს მომსახურების საფასური 50 ლარის ოდენობით.

გ) 30 დღე-ღამის შემდეგ ამ პუნქტში მოცემული საფასურები მრავლდება 2-ზე.

დ) შავი ლითონის ჯართით დასატვირთი და დასაცლელი ვაგონების მიმართ მეორე დღე-ღამიდან ვაგონს ერიცხება 200 ლარი, ხოლო მეხუთე დღე-ღამიდან 500 ლარი.

ე) კლიენტის მიერ, სხვა რკინიგზების ცარიელი ინვენტარული პარკის ვაგონების, კონტეინერების ან რეფკონტეინერების ზმულის, დასატვირთად მოთხოვნისას, დატვირთვის სადგურში იხსნება საერთო ფორმის აქტი:

1) სხვა რკინიგზიდან შემოყვანისას/შემოსვლისას, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის დროიდან ვაგონების მიწოდებამდე (ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროს გახსნამდე);

2) საქართველოს რკინიგზაზე მათი არსებობის შემთხვევაში, მათი დაცლიდან ვაგონების მიწოდებამდე (ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროს გახსნამდე).

ორივე შემთხვევაში თითოეულ დაწყებულ დღე-ღამეზე ვაგონს/კონტეინერს ერიცხება საფასური, რომელიც მოქმედი წესების შესაბამისად დადგენილია რკინიგზებს შორის ინვენტარული პარკის კონკრეტული სახის ვაგონის/კონტეინერის გამოყენებისათვის.

დასატვირთად კლიენტის მოთხოვნით სხვა რკინიგზების ინვენტარული პარკის რეფსექციების შემოყვანისას, დატვირთვის სადგურში შესვლიდან დატვირთვაზე მიწოდებამდე (ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროს გახსნამდე) სატვირთო ვაგონებზე იხსნება საერთო ფორმის აქტი და თუ ამ დრომ ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროს დროსთან ერთად 3 დღე-ღამეს გადააჭარბა, თითოეულ დაწყებულ დღე-ღამეზე ვაგონს დამატებით ერიცხება საფასური რასაც საქართველოს რკინიგზა ვაგონის დატვირთვის ნორმატიული დროის გადაცილებისათვის უხდის სხვა რკინიგზას.

ვ) "ნავთობპროდუქტებით"(27090010, 2712, 2713 (გარდა 27131100, 27131200, 27132000), 2715, 2721-2749, 340319, 340399, 3404, 381121, 381129, 38170050, 38241000) დასაცლელი რკინიგზის ინვენტარული პარკის ვაგონ-ცისტერნას მეორე დღე-ღამიდან ერიცხება 500 ლარი.

ზ) ყაზახეთის რკინიგზის სადგურების გაგზავნით სადგურ ბათუმის დანიშნულებით მოსული თხევადი გაზით (2711) დატვირთული საკუთარი ვაგონ-ცისტერნის, სადგურის მომსახურების გაწევისას, მომსახურების დროის ათვლა და დამატებითი საფასურების დარიცხვა, ნაცვლად პირველი 24 საათისა ხორციელდება პირველი 15 დღე-ღამის შემდეგ. ამასთან, არ გამოიყენება მუხლი VIII.-ის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის პირობა. *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

თ) 1 ნოემბრიდან - 1 აპრილის ჩათვლით პერიოდში, ყაზახეთის რესპუბლიკიდან ვაკუუმური გაზოილით (2742) და მძიმე მაზუთით (2744) დატვირთული საკუთარი ვაგონ-ცისტერნების (მათ შორის მუხლი VII. მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოცულობითი ტარიფების გავრცელების შემთხვევაშიც)

დანიშნულების სადგურში მომსახურების გაწევისას, მომსახურების დროის ათვლა და ქვემოთ მოყვანილი დამატებით საფასურების დარიცხვა, ნაცვლად პირველი 24 საათისა ხორციელდება ვაკუუმური გაზოილით დატვირთულისათვის პირველი 3 დღე-ღამის შემდეგ, ხოლო მძიმე მაზუთით 5 დღე-ღამის შემდეგ.

- ამასთან, მუხლი VIII. პირველი პუნქტით დადგენილი სადგურის მომსახურების საფასურები მოიცავს ჯამში მსვლელობის გზაზე და დანიშნულების სადგურში ვაკუუმური გაზოილით საკუთარი ვაგონისთვის ლიანდაგის დაკავებას- პირველი 3 დღე-ღამის ჩათვლით, ხოლო მძიმე მაზუთით- პირველი 5 დღე-ღამის ჩათვლით; - აღნიშნულ შემთხვევაში არ გამოიყენება მუხლი VIII. მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის პირობა.

ი) რუსეთის ფედერაციიდან გარდაბნის გავლით სადგურ ფოთის დანიშნულებით ქვანახშირით (2701) დატვირთული საკუთარი ვაგონის, სადგურის მომსახურების გაწევისას, მომსახურების დროის ათვლა და დამატებითი საფასურების დარიცხვა, ნაცვლად პირველი 24 საათისა ხორციელდება პირველი 3 დღე-ღამის შემდეგ (*ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

კ) სადგურ გარდაბნის გავლით სადგურ ბათუმამდე, ფოთამდე, ფართო წყლამდე (მათ შორის პორტი) ზეთებისა და სხვა პროდუქტების (2707) გადაზიდვისას, როდესაც გამომგზავნი რუსეთის რკინიგზის სადგურია, დანიშნულების სადგურის 24 სათზე მეტი მომსახურების საფასური დადგინდეს ამ პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფასურების დონეზე *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

3. მსვლელობის გზაზე სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელისას დამატებითი საფასურების და მომსახურების აღრიცხვა და დარიცხვა ხორციელდება: ბორნიდან ტვირთის მიღებისას, როგორც საქართველოს რკინიგზაზე გამგზავნ სადგურში (ფოთი, ბათუმი), ხოლო ბორნით ტვირთის გაგზავნისას- საქართველოს რკინიგზაზე დანიშნულების სადგურში (ფოთი, ბათუმი).
ამასთან, სხვა ქვეყნის რკინიგზების ინვენტარული პარკის დატვირთულ ვაგონებს, მათი გამოყენების საფასურის კომპენსაციის მიზნით, დამატებით ერიცხებათ ვაგონით გადასაზიდ ტვირთს: 2,06 აშშ დოლარი ერთ ტონა ტვირთზე, ხოლო კონტეინერს: 3 და 5 ტონიანს, 10 და 20 ფუტიან კონტეინერს- 62 აშშ დოლარი კონტეინერზე; 30, 40 და მეტი ფუტიან კონტეინერს- 124 აშშ დოლარი კონტეინერზე, გარდა საქართველოს რკინიგზის სადგურებში ტვირთით ან კონტეინერით დატვირთული ვაგონებისა.

4. კლიენტის მიერ საქართველოს რკინიგზის გამგზავნი სადგურების მონაწილეობით ინვენტარული პარკის ვაგონებით (კონტეინერებით) დაგეგმილი გადაზიდვის დავალების მოქმედების ვადის ამოწურვამდე დაგეგმილი ტვირთის მოცულობის: ტვირთის ვაგონით გადაზიდვისას - 10 ტონაზე მეტით, ხოლო კონტეინერის გადაზიდვისას -ყოველი ერთეული კონტეინერის აუთვისებლობის შემთხვევაში, მას (გადაზიდვის დავალებაში მითითებული გადაზიდვის ღირებულების გადამხდელს) ერიცხება აუთვისებლობის საფასური, რომელიც შეადგენს:

| ერთ ტონა ტვირთზე | 3 და 5 ტონიან, 10 და 20 ფუტიან კონტეინერზე | 30 ან 40 ფუტიან კონტეინერზე | 40 ფუტიანზე მეტ კონტეინერზე |
|---|---|---|---|
| 1.18 აშშ დოლარი | 14.00 აშშ დოლარი | 28.00 აშშ დოლარი | 42.00 აშშ დოლარი |

5. ფოთის და ბათუმის პორტების მეშვეობით, მათ შორის ბორანით ტვირთის გადაზიდ-ვისას, როდესაც გამგზავნი/მიმღები შესაბამისად არის ფოთში ან ბათუმში ამ მუხლის 1, 2 და 3 პუნქტების საფასურების მიმართ ვრცელდება კოეფიციენტი 1.5. აღნიშნული კოეფიციენტი არ ვრცელდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპენსაციის მიზნით დადგენილ საფასურებზე.

6. კლიენტის მოთხოვნით, დამატებით რკინიგზის კუთვნილ სამანევრო ლოკომოტივით მომსახურების საფასური, თითოეულ დაწყებულ ნახევარ საათში შეადგენს :

   -ელმავლით- 400,00 ლარს;

   -თბომავლით-90,00 ლარს.

7. დამატებითი მომსახურების საფასურები დადგენილი უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება ლარში პირველი მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად და შემდეგ მრგვალდება სრულ თეთრამდე (0,5 თეთრი და მეტი მრგვალდება თეთრამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება), მომსახურების მთლიანი ღირებულება კი - ლარამდე (50 თეთრი და მეტი მრგვალდება ლარამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება). ამასთან, მუხლი VIII-ის მე-3 პუნქტის შემთხვევაში, მომსახურებების ღირებულებები მრგვალდება სრულ თეთრამდე, ჯამდება და მრგვალდება სრულ ლარამდე.

   ლარში დადგენილი დამატებითი მომსახურების საფასურებისთვის, მომსახურების მთლიანი ღირებულება მრგვალდება სრულ ლარამდე (50 თეთრი და მეტი მრგვალდება ლარამდე, ხოლო ნაკლები არ გაითვალისწინება).

8. რკინიგზების კუთვნილი რეფრიჟერატორული სექციის სამომსახურეო-ტექნიკური ვაგონის მიმართ, არ გამოიყენება VIII მუხლით გათვალისწინებული საფასურები.

9. კლიენტის მოთხოვნით სწრაფი დაბრუნების რეჟიმში მყოფი ვაგონის გამოყოფა შეადგენს 200 შვეიცარულ ფრანკს.

10. კლიენტის მოთხოვნით ტვირთის შენახვა:

   - დახურულ საწყობში 1 ტონა ტვირთის ერთი დღე-ღამით შენახვა შეადგენს 1,50 ლარს;

   -ღია მოედნებზე 1 ტონა სამშენებლო ინერტული მასალების (25162000, 25171020, 25210000, 25051000, 25171010, 25131000, 26219000, 26180000, 25231000, 25059000, 25301000, 25171000) ერთი დღე-ღამით შენახვა შეადგენს 0,35 ლარს, ხოლო სხვა ტვირთის -1,30 ლარს, ერთი ერთეული ცარიელი საკუთარი კონტეინერის - 3,00 ლარს.

   ამასთან, ტვირთის შენახვის მინიმალური თანხა შეადგენს 20 ლარს და არასრული დღე-ღამე მრგვალდება სრულ დღე-ღამემდე.

11. რკინიგზის საშუალებებით ვაგონის (კონტეინერის) დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშოები :

   - 1 ტონა-ოპერაცია შეადგენს 3,00 ლარს;

   - 1 კონტეინერ-ოპერაცია: ბრუტო მასით: 3; 5; და 10 ტონიანი; 20 ფუტიანი კონტეინერისათვის შეადგენს 10 ლარს;

   - 1 კონტეინერ-ოპერაცია: 30; 40 ფუტიანი კონტეინერისათვის შეადგენს 20 ლარს;

   - 1 კონტეინერ-ოპერაცია 40 ფუტიანზე მეტი კონტეინერისათვის შეადგენს 25 ლარს.

12. ვაგონის დეზინფექციის მომსახურება შეადგენს 80 ლარს ერთ ვაგონზე. აღნიშნული საფასური არ მოიცავს სადეზინფექციო ვაგონის გადაზიდვის ღირებულებასა და დეზინფექციის სადგურის მომსახურეობების საფასურებს, ამასთან დეზინფექციის სადგურის მომსახურება ინვენტარული პარკის ვაგონისათვის შეადგენს 60 ლარს (მიწოდება-გამოტანა), ხოლო საკუთარი ვაგონისათვის - 120 ლარს (მიწოდება-გამოტანა).

13. ტვირთის გადამისამართებისას (გადაზიდვის მისამართის შეცვლა) ახალი საბუთების გაფორმების პირობით, გადამისამართების მომსახურების საფასური შეადგენს გადამისამართების სადგურში, როგორც ტვირთის მიმღები სადგურის ასევე ამავე სადგურში, როგორც ტვირთის გამგზავნი სადგურის მომსახურების საფასურების ჯამს, ხოლო პირვანდელი საბუთებით გადამისამართებისას- გადამისამართების სადგურში ამ მომსახურების საფასური შეადგენს კლიენტის მიზეზით მსვლელობის გზაზე ტვირთის გადაზიდვის დაყოვნებისას დადგენილ 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურს, რომლის დარიცხვა იწყება დაყოვნების პირველი საათიდან.

სასადგურო ლიანდაგიდან ტვირთის გადამისამართებისას, სადგურის მომსახურების საფასურები შეადგენს - საფასურებს, რომელიც დადგენილია რკინიგზის სამანევრო ლოკომოტივისათვის, ხოლო მისასვლელი ლიანდაგიდან გადამისამართებისას - ფაქტიურად გაწეული სამანევრო ლოკომოტივის მომსახურების საფასურების შესაბამისად.

14. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მოთხოვნით დადგენილ თარიღში ვერ ხერხდება მოთხოვნილი ცარიელი ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად მიწოდება არარკინიგზის მიზეზით, და ამასთანავე ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად მიწოდების დაგეგმილი თარიღის წინა დღის 18:00 საათამდე არ იქნა დაკორექტირებული ”მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე“, კლიენტს (გადაზიდვის ღირებულების გადამხდელს) აღნიშნულ მომსახურებაზე ერიცხება თანხა, თითოეულ დაწყებულ დღე-ღამეზე რკინიგზის კუთვნილი ვაგონისათვის (კონტეინერისათვის) დამატებითი მომსახურების (24 საათზე მეტი მომსახურება) დადგენილი საფასურის განაკვეთით, დაგეგმილი ცარიელი ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად მიუწოდებელი რაოდენობის შესაბამისად.

გარდა ამისა, საქართველოს რკინიგზის კუთვნილი რეფრიჟერატორული სექციებით ტვირთის გადაზიდვისას, გადაზიდვის დავალებაში მითითებული პირველადი დატვირთვის თარიღის მიწოდების თარიღამდე 48 საათიან პერიოდში, დაგეგმილ მიწოდების დღესა და მომდევნო პერიოდში გადაწევისას (კორექტირებისას), კლიენტზე გამოყოფილი სექციის შენარჩუნების პირობით, თითოეულ გადაწეულ დღე-ზე კლიენტს დამატებით ერიცხება რეფსექციის დატვირთვის თარიღის კორექტირების საფასური 200 ლარი სექციაზე. ამასთან, სხვა ტვირთგამგზავნის მოთხოვნის პირობებში, დატვირთვის გადაწევის დრო 5 დღეს არუნდა აღემატებოდეს. 200 ლარი ერიცხება სექციას იმ შემთხვევაშიც, თუ დაგეგმილ მიწოდების დღეს კლიენტი უარს აცხადებს დატვირთვაზე და გამოყოფილ სექციაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ თარიღში დასატვირთად მიეწოდა ცარიელი ვაგონი, ხოლო კლიენტი უარს აცხადებს მის დატვირთვაზე, აღნიშნულ მომსახურებაზე კლიენტს ერიცხება (გადაზიდვის ღირებულების გადამხდელს) დაგეგმილი სადგურის მომსახურების საფასური კონკრეტული ვაგონის ტვირთამწეობიდან გამომდინარე და არსებობის შემთხვევაში, სადგურის დამატებითი მომსახურების (24 საათზე მეტი მომსახურება) საფასურიც.

იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ თარიღში კონტეინერის დასატვირთად მიეწოდა ცარიელი ვაგონი, ხოლო კლიენტი უარს აცხადებს კონტეინერის დატვირთვაზე, აღნიშნულ მომსახურებაზე კლიენტს ერიცხება დაგეგმილი თითოეული კონტეინერის სადგურის მომსახურების საფასური და არსებობის შემთხვევაში, კონტეინერზე სადგურის დამატებითი მომსახურების (24 საათზე მეტი მომსახურება) საფასურიც.

15. ტვირთის ვაგონით გადაზიდვისას დასატვირთად რკინიგზის ინვენტარული პარკის ცარიელი ვაგონის მიწოდების მოთხოვნისას: იმავე დაუგეგმავ დღეს; ან იმავე დღისთვის გეგმის კორქტირებისას, კონკრეტულ სადგურში მოძრავი შემადგენლობის (ვაგონი, ლოკომოტივი) რესურსის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს, რისთვისაც კლიენტს სადგურ ფოთში/ბათუმში (მათ შორის პორტებში და ტერმინალებში) თითოეულ ვაგონზე ერიცხება 10 ლარი, ხოლო სხვა სადგურებში- 30 ლარი დღგ-ს გარეშე. ამასთან, დასატვირთად კლიენტის მოთხოვნით სხვა რკინიგზების ინვენტარული პარკის ვაგონების რეგულირებით შემოყვანისას, კლიენტს ამ ვაგონებზე ეს თანხა არ ერიცხება. ამ თანხების დარიცხვა არ გამორიცხავს ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული თანხების დარიცხვას.

16. ბორნის მოლოდინში:

- პორტში ან სადგურის ლიანდაგში რკინიგზების ინვენტარული პარკის ვაგონებს (კონტეინერებს) და სადგურის ლიანდაგებში: საკუთარ ვაგონებს (კონტეინერებს), საკუთარ ღერძებზე მოძრავი შემადგენლობის ერთეულებს, 24 საათზე მეტი მომსახურების საფასური არ ერიცხება;

- ტვირთით ან კონტეინერით დატვირთულ საკუთარ და ცარიელ საკუთარ ვაგონებს, საკუთარ ღერძებზე მოძრავი შემადგენლობის ერთეულებს, სადგურის ლიანდაგების დაკავების კომპესაციის მიზნით, დამატებით ერიცხებათ საფასური: ერთ სავაგონო გზავნილს ან საკუთარ ღერძებზე მოძრავი შემადგენლობის ერთეულს ან ერთ 30, 40 და მეტ ფუტიან კონტეინერს - 150 ლარი, ხოლო სხვა ერთ საკონტეინერო გზავნილს - 75 ლარი, გარდა საქართველოს რკინიგზის სადგურებში ტვირთით დატვირთული ვაგონებისა და ტვირთით დატვირთული კონტეინერების.

- თუ სარკინგზო ბორანზე გახორცილედება რკინიგზასთან შეთანხმებული ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები ოდენობის რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის აგორება, ბორანზე არ აყვანილ ინვენტარული პარკის ვაგონს დატოვების მომენტიდან, თითოეულ დაწყებულ დღე-ღამეზე ერიცხება საფასური, რომელიც მოქმედი წესების შესაბამისად დადგენილია რკინიგზებს შორის ინვენტარული პარკის კონკრეტული სახის ვაგონის გამოყენებისათვის, ხოლო რკინიგზის ლიანდაგებში მდგომ საკუთარ ვაგონს/რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის სხვა ერთეულს - 50 ლარი.

17. საკუთარი და არენდირებული სატვირთო ვაგონის მიმდინარე-ახსნითი სტანდარტული შეკეთების საფასური განისაზღვროს 412 ლარის ოდენობით (დღგ-ს გარეშე), თითოეულ ვაგონზე, ხოლო არასტანდარტული შეკეთების-ფაქტიური ხარჯების გათვალისწინებით *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

18. სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მფლობელის/მოსარგებლის დაკვეთით შესრულებული სამუშაოების წარმოებისა და მომსახურების საფასური განისაზღვრება

ცხრილი №7-ის მიხედვით.

19. სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მესაკუთრის/მფლობელის მოთხოვნით, საგარანტიო წერილის საფუძველზე, მისასვლელი ლიანდაგის დროებით რეჟიმში მომსახურების ნებართვის საფასურები" განისაზღვრება ცხრილი N 8-ის მიხედვით.

20. სადგურის ლიანდაგებში კერძო ოპერატორის კუთვნილი თბომავლის პარკირებისათვის, ყოველი დაწყებული დღე-ღამის საფასური შეადგენს 50 ლარს.

21. რკინიგზის კუთვნილ მისასვლელ ლიანდაგზე, როდესაც კონკრეტულ გადაზიდვასთან დაკავშირებით ლიანდაგის მესაკუთრის მიერ არ ხორციელდება ვაგონების მიწოდება-გამოტანა, ან ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა სახელშეკრულებო მომსახურება, სარკინიგზო ხაზების გამოყენების საფასური შეადგენს:

- ვაგონზე ერთჯერადად 15 აშშ დოლარს, როდესაც ვაგონი მხოლოდ მისასვლელი ლიანდაგის ფარგლებში გადაადგილდება. აღნიშნული საფასური მოიცავს: მისასვლელი ლიანდაგის ინფრასტუქტურაზე დაშვებას, მანევრებს, ვაგონის გადაადგილებას უკან დაბრუნებით, ნებისმიერი სახის შესასვლელით/გასასვლელით სარგებლობას, ნებისმიერი კარების, ჭიშკრის ან შლაგბაუმის გაღება-დაკეტვის ოპერაციებს და ამ გადაადგილებასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას ;

- 5 აშშ დოლარს ვაგონ/კმ-ზე, როდესაც ვაგონი რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის გავლით გადაადგილდება მომიჯნავე მისასვლელ ლიანდაგზე ან პირიქით. აღნიშნული საფასური მოიცავს მისასვლელი ლიანდაგის ინფრასტუქტურაზე დაშვებას, ვაგონის გადაადგილებას, ნებისმიერი სახის შესასვლელით/გასასვლელით სარგებლობას, ნებისმიერი კარების, ჭიშკრის ან შლაგბაუმის გაღება-დაკეტვის ოპერაციებს და ამ გადაადგილებასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას. ამასთან, კლიენტთან ანგარიშსწორება ხორციელდება ვაგონ-მეტრებზე, ვაგონ-კმ-ზე დადგენილი საფასურიდან გამომდინარე.

# მუხლი IX. ცარიელი ვაგონების მიმოსვლა და მოძრავი შემადგენლობა საკუთარ ღერძებზე

1. სრული გადაზიდვის საბუთით გაფორმებული ცარიელი სატვირთო ვაგონების გადაზიდვისას: ტვირთის/კონტეინერის დასატვირთად ან დაცლის შემდეგ; დასასუფთავებ-ლად/გასარეცხად/დეზიფენქციისთვის (99220000, 99223000); ცალკე გამცილებლებისათვის გამოყოფილი ვაგონის (99200000); საფარი, საკონტროლო ჩარჩოთი აღჭურვილი ვაგონის (99240000) და რკინიგზების კუთვნილი ინვენტარული პარკის ცარიელი ვაგონების რემონტში/რემონტიდან მსვლელობისას, განაკვეთი შეადგენს 0,118 აშშ დოლარს ღერძ-კილომეტრზე, გარდა ცარიელი საკუთარი ცისტერნებისა, რომლის მიმოსვლის განაკვეთი შეადგენს 0,059 აშშ დოლარს ღერძ-კილომეტრზე.

სატვირთო მატარებლების შემადგენლობაში სამგზავრო ვაგონების რემონტში/რემონტიდან მსვლელობისას მათი გადაზიდვის ღირებულება იანგარიშება 0,175 აშშ დოლარი ღერძ-კილომეტრზე.

2. საკუთარი რეფრიჟერატორული სექციის და რეფრიჟერატორული კონტეინერების სამომსახურეო-ტექნიკური ვაგონის მიმოსვლის ღირებულება იანგარიშება განაკვეთით 0.140 აშშ დოლარი ყოველ ღერძ-კილომეტრზე. საკუთარი ცარიელი რეფსექციის ვაგონების გადაზიდვის ღირებულება იანგარიშება 0.118 აშშ დოლარი ღერძ-კილომეტრზე როგორც დატვირთულ ასევე ცარიელ რეისებში მსვლელობისას, ხოლო რკინიგზის კუთვნილი ცარიელი ვაგონებისთვის მხოლოდ დატვირთული რეფსექციის შემადგენლობაში მსვლელობისას.

3. სხვა რკინიგზების მოთხოვნით, საქართველოს რკინიგზის კუთვნილებაში მყოფი ცარიელი ტრანსპორტიორის მიწოდება და ტვირთის დაცლიდან მისი დაბრუნება ხორციელ-დება სრული გადაზიდვის საბუთების გაფორმებით გადაზიდვის ღირებულების ანაზღაურე-ბით 0.165 აშშ დოლარი ღერძ-კილომეტრზე. ამასთანავე თუ საქართველოს რკინიგზის კუთვნილი ტრანსპორტიორი დაიტვირთა საქართველოს რკინიგზაზე სხვა რკინიგზის და-ნიშნულებით ან სხვა რკინიგზაზე საქართველოს რკინიგზის დანიშნულებით მაშინ ცარიელი ტანსპორტიორების მიწოდების ან დაცლის შემდგომ დაბრუნებისას გადაზიდვის ღირებულება არ აიღება.

საქართველოს რკინიგზის მოთხოვნით, სხვა რკინიგზების კუთვნილებაში მყოფი ცარიელი ტრანსპორტიორის გადაზიდვა ხორციელდება (მათ შორის, შიდა გადაზიდვებისას) სრული გადაზიდვის საბუთების გაფორმებით გადაზიდვის ღირებულების ანაზღაურებით 0,165 აშშ დოლარი ღერძ-კილომეტრზე.

ცარიელი საკუთარი ტრანსპორტიორის გადაზიდვის ღირებულება - 0,165 აშშ დოლარი ღერძ-კილომეტრზე.

4. სატვირთო მატარებლის შემადგენლობაში საკუთარ ღერძებზე მოძრავი შემადგენ-ლობის (ვაგონები, ლოკომოტივები, სარკინიგზო ამწეები და სხვა – პოზიციები 8601-8606) და ვაგონების პოზიციებით (99221000, 99222000, 99224000), მათ შორის ცარიელი საკუთარი ვაგონის: რემონტში/რემონტიდან, ჯართად, მესაკუთრის შეცვლისას და სხვა გადაზიდვისას (გარდა მუხლი IX.-ის პირველი პუნქტისა), გადაზიდვის ღირებულება იანგარიშება, როგორც ტვირთის ინვენტარული ვაგონით გადაზიდვა (მუხლი V.-ის 1-5 პუნქტის სატარიფო პირო-ბები) დამატებით კოეფიციენტ - 0,5 გამოიყენებით. ამასთან, მოძრავი შემადგენლობის თითოეული ერთეული ითვლება ცალკე გზავნილად, ხოლო საკუთარი წონა ითვლება გზავნილის ფაქტიურ წონად.

# მუხლი X. რეფრიჟერატორული სექციით ტვირთის გადაზიდვის ტარიფები

1. რკინიგზისა და საკუთარი რეფრიჟერატორული სექციით ტვირთის გადაზიდვის სპეც. ტარიფები ერთ ტონა ტვირთზე სადგურების მიხედვით აშშ დოლარებში შეადგენს:

| 4 და მეტი რეფრიჟერატორული ვაგონიანი რეფ. სექციისათვის | ბათუმი/ ბათუმის ბორანი | ფოთი/ფოთის ბორანი | თბილისი სატვირთო | თბილისი საკვანძო | ფონიჭალა | სადახლო (ექსპ.) | გარდაბანი (ექსპ.) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი/ბათუმისბორანი | - | 18,04 | 37.55 | 37.55 | 37.55 | 45,06 | 42,08 |
| ფოთი/ფოთისბორანი | 18,04 | - | 34.56 | 34.56 | 34.56 | 42,08 | 37.55 |
| თბილისი სატვირთო | 37.55 | 34.56 | - | 3,00 | 3,00 | 12.02 | 10,52 |
| თბილისი საკვანძო | 37.55 | 34.56 | 3,00 | - | 3,00 | 12.02 | 9.00 |
| ფონიჭალა | 37.55 | 34.56 | 3,00 | 3,00 | - | 10,52 | 10,52 |
| სადახლო (ექსპ.) | 45,06 | 42,08 | 12.02 | 12.02 | 10,52 | - | 12.02 |
| გარდაბანი (ექსპ.) | 42,08 | 37.55 | 10,52 | 9.00 | 10,52 | 12.02 | - |

საქართველოს რკინიგზის კუთვნილი რეფსექციებით ტვირთის გადაზიდვისას, სპეცტარიფების მიმართ დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი- 0,78 *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით);*

სხვა რკინიგზის სადგურების გაგზავნით ბათუმის/ ფოთის ბორნისა და სადგურ გარდაბნის გავლით და უკუმიმართულებით ინვენტარული პარკის რეფსექციებით (ვაგონების გამოყენების საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების პირობით)/საკუთარი რეფსექციებით ტვირთის გადაზიდვისას, გარდა აზერბაიჯანის რკინიგზის სადგურების დანიშნულებით ან სადგურების გაგზავნით, სპეცტარიფების მიმართ დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტი -0,55 *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

ამ პუნქტით გათვალისწინებული გადაზიდვების გარდა, გადაზიდვის ღირებულება იანგარიშება ტვირთის ვაგონით გადაზიდვის წესის მიხედვით გზავნილის საანგარიშო წონის შესაბამისად კოეფიციენტ 2.5-ის გამოყენებით.

რეფრიჟერატორული სექციით გადაზიდვისას სპეც. ტარიფების გავრცელების შემთხვევაში გზავნილის საანგარიშო წონის დადგენისას აიღება ფაქტიური წონა დამრგვალებული სრულ ტონამდე. თუ რეფრიჟერატორული სექციის ვაგონით (სამომსახურეო-ტექნიკური ვაგონის გარეშე) გადაზიდვა ხორციელდება ვაგონ-თერმოსის ან დახურულის სანაცვლოდ, გადაზიდვის ღირებულება იანგარიშება როგორც ტვირთის ვაგონით გადაზიდვისას.

2. რეფრიჟერატორული სექციაში ვაგონების რაოდენობის მიხედვით ამ მუხლის 1 პუნქტით დადგენილი ტარიფების მიმართ გამოიყენება შემასწორებელი კოეფიციენტები:

| ერთი რეფრიჟერატორული ვაგონი | ორი რეფრიჟერატორული ვაგონი | სამი რეფრიჟერატორული ვაგონი |
|---|---|---|
| 1.70 | 1.40 | 1.10 |

3. რკინიგზების ინვენტარული პარკის სამომსახურეო-ტექნიკური ვაგონის და რეფრიჟერატორული კონტეინერებისგან შემდგარი ბმულით განსაკუთრებული პირობებით ტვირთის გადაზიდვისას, კონტეინერების გადაზიდვის ღირებულების მიმართ დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი 1.9.

4. საკუთარი (იჯარა): სამომსახურო-ტექნიკურივაგონით, ბაქნით (ფიტინგი) და რეფრიჟერატორული კონტეინერებით შემდგარი ბმულის (დატვირთული; ცარიელი) გადაზიდვისას, კონტეინერების გადაზიდვის ღირებულების მიმართ დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი 1.45. ამასთან,დატვირთული და ცარიელი ბმულების გადაზიდვებზე ვრცელდება სამომსახურო-ტექნიკური ვაგონის გარბენის ღირებულებისა და გამცილებლების მგზავრობის საფასურის გაანგარიშების მოქმედი წესი.

ბმულის მსვლელობის გზაზე სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის გავლისას მის მიმართ გამოიყენება მუხლი VIII-ის შესაბამისი პუნქტების დებულებები. ამასთან, საკუთარი სამომსახურო-ტექნიკური ვაგონი განიხილება როგორც საკუთარ ღერძებზე მოძრავი შემადგენლობის ერთეული.

5. სადგურ ფოთის, ბათუმის (მათ შორის პორტის) გაგზავნით სადგურ გარდაბნის გავლით საკუთარი ან რკინიგზის ინვენტარული პარკის რეფსექციით ხილ-ბოსტნეულის (0701-0714; 0801-0814) რუსეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების დანიშნულებით გადაზიდვისას, ამ მუხლის პირველი პუნქტის ცხრილით დადგენილ სპეცტარიფების მიმართ დადგინდეს დამატებითი კოეფიციენტი 0,6.

## მუხლი XI. საკონტეინერო მატარებლით კონტეინერების (დატვირთული, ცარიელი) გადაზიდვის ტარიფები

1. საკონტეინერო მატარებლით (სომხეთის, აზერბაიჯანის) კონტეინერების (დატვირთული, ცარიელი) გადაზიდვის ტარიფები აშშ დოლარებში შეადგენს:

| გადაზიდვის მიმართულება | მანძილი, კმ. | | 20 ფუტიანი | | 40 ფუტიანი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | გადაზიდვის მთელ მანძილზე | ერთ კონტ./ კმ-ზე | გადაზიდვის მთელ მანძილზე | ერთ კონტ./კმ-ზე |
| 1 | 2 | | 3 | 4 | 5 | 6 |
| ფოთი - სადახლო ექსპ. | 387 | დატ. | 294 | 0,76 | 445 | 1,15 |
| | | ცარ. | 147 | 0,38 | 224 | 0,58 |
| ბათუმი - სადახლო ექსპ. | 423 | დატ. | 321 | 0,76 | 486 | 1,15 |
| | | ცარ. | 161 | 0,38 | 245 | 0,58 |
| ფოთი - გარდაბანი ექსპ. | 360 | დატ. | 186 | 0.52 | 211 | 0.59 |
| | | ცარ. | 76 | 0.21 | 76 | 0.21 |
| ბათუმი - გარადაბანი ექსპ. | 396 | დატ. | 199 | 0.50 | 226 | 0.57 |
| | | ცარ. | 83 | 0.21 | 83 | 0.21 |
| ფოთი - თბილისი-საკვ. | 318 | დატ.<br>ცარ. | გამოითვლება კონტეინერების (დატვირთული, ცარიელი) გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშების დადგენილი წესით | | | |
| ბათუმი-თბილისი-საკვ. | 354 | დატ.<br>ცარ. | გამოითვლება კონტეინერების (დატვირთული, ცარიელი) გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშების დადგენილი წესით | | | |

შენიშვნა: - *ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;*

სომხეთის საკონტეინერო მატარებლისთვის, ფოთი/ბათუმი-სადახლო ექსპ. სარკინიგზო მონაკვეთზე: 20 ფუტიანი კონტეინერებით სპილენძის კონცენტრატის მადნის (26030000), ბიტუმის (27132000) გადაზიდვისაზე დადგენილი ტარიფების ნაცვლად დატვირთულ კონტეინერზე გამოიყენება - 0,82 აშშ დოლარი კონტ./კმ-ზე (317/347) აშშ დოლარი კონტეინერზე), ხოლო 40 ფუტიანი კონტეინერის გადაზიდვისაზე დადგენილი ტარიფების ნაცვლად დატვირთულ კონტეინერზე გამოიყენება - 0,83 აშშ დოლარი კონტ./კმ-ზე (321/351) აშშ დოლარი კონტეინერზე, ხოლო ცარიელზე - 0,38 აშშ დოლარი კონტ./კმ-ზე (147/161) აშშ დოლარი კონტეინერზე, გარდა, სპილენძის კონცენტრატის მადნის (26030000), ბიტუმის (27132000), ხორბლის (1001-1005), შროტის (2304; 2306) გადაზიდვისას. *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

ამასთან, თუ დანიშნულების/ან გაგზავნის სადგური ერასხია ტარიფების მიმართ დამატებით დადგინდეს კოეფიციენტი- 0,95 *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით);*

სომხეთისა და აზერბაიჯანის საკონტეინერო მატარებლის სატარიფო პირობები ვრცელდება მხოლოდ მათ რკინიგზის სადგურების დანიშნულებით გადაზიდულ კონტეინერებზე.

სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან კონტეინერების გადაზიდვისს ტარიფი, უკუმიმართულებით დადგენილი ტარიფის ტოლია. მის მიმართ სხვა დამატებითი კოეფიციენტები, გარდა ქვემოთ მოყვანილისა, არ გამოიყენება.

საკუთარ (არენდირებულ) ვაგონებით კონტეინერების გადაზიდვისას, დადგენილ საფასურებზე გამოიყენება კოეფიციენტი - 0,85.

2. საკონტეინერო მატარებლით: სადგურ ბათუმის, ფოთის (მათ შორის პორტების) გაგზავნით ან საქართველოს სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელების და სადგურ გარდაბანი ექსპ. გავლით: ჩინეთის/ ყაზახეთის (მათ შორის სადგური ალტინკოლ ექსპ.) /უზბეკეთის/ ყირგიზეთის/ტაჯიკეთის/თურქმენეთის რკინიგზის სადგურების დანიშნულებით და უკუმიმართულებით გადაზიდული კონტეინერების გადაზიდვის ტარიფი აშშ დოლარებში შეადგენს:

| | დატვირთული კონტეინერი | | ცარიელი კონტეინერი | | საკუთარი ცარიელი ფიტინგიანი ბაქანის (ფიტინგი) მიმოსვლა |
|---|---|---|---|---|---|
| | 20 ფუტ. | 40 ფუტ. | 20 ფუტ. | 40 ფუტ. | |
| სადგურ ბათუმის, ფოთის (მათ შორის პორტების) გაგზავნით ჩინეთის/ყაზახეთის რკინიგზის სადგურების დანიშნულებით | 62 | 79 | 62 | 79 | დადგენილი საერთო წესის შესაბამისად |
| სხვა მიმართულებები | 123 | 158 | 63 | 123 | |

*(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით)*

აღნიშნული სატარიფო პირობები ვრცელდება აზერბაიჯანის რკინიგზის საპორტო სადგურების მონაწილეობით განხორციელებულ გადაზიდვებზეც, თუ გადაზიდვის საბუთის (სმგს-ის) მე-3 გრაფაში მითითებული იქნება ჩანაწერი: „კონტეინერი შემოტანილია/ან ექვემდებარება გატანას საზღვაო ტრანსპორტით *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

ამასთან, სადგურის მომსახურების საფასური განისაზღვრება კონტეინერებისათვის და საკუთარი ვაგონისათვის დადგენილი საერთო წესის შესაბამისად. აღნიშნულ გადაზიდვებზე არ ვრცელდება ბორნის მოლოდინში სადგურის ლიანდაგების დაკავების დადგენილი საფასური (მუხლი VIII.-ს მე-16 პუნქტი) *(ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).*

3. ამ მუხლით დადგენილი საკონტეინერო მატარებლით კონტეინერების (დატვირთული, ცარიელი) გადაზიდვის სატარიფო პირობები (გარდა სომხეთის საკონტეინერო მატარებლისა), 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გავრცელდეს სატვირთო მატარებლით გადაზიდულ კონტეინერებზეც.

4. ამ მუხლით დადგენილ მარშრუტებზე რეფკონტეინერებისა და კონტეინერ-ცისტერნების (ტანკ-კონტეინერი) გადაზიდვისას, შესაბამისი სატარიფო პირობების მიმართ დამატებით გამოიყენება კოეფიციენტი 1,35. ამასთან, მუხლი XI.-ის: პირველ პუნქტის აზერბაიჯანის მარშრუტზე - 20 ფუტიანი ტანკ-კონტეინერისათვის, მე-2 პუნქტის მარშრუტზე - 40 და 40 ფუტანზე მეტი რეფკონტენერის გადაზიდვისას, აღნიშნული დამატებითი კოეფიციენტი არ გამოიყენება.

5. ამ მუხლით დადგენილ მარშრუტებზე, 20 ფუტიანი 29P9 ან 29PY ტიპის სპეც. კონტეინერის გადაზიდვისას, გამოიყენება მუხლი III.-ის პირველი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის სატარიფო პირობა (ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).

6. კონტეინერებში საფრთხეშემცველი ტვირთების გადაზიდვისას, გადაზიდვის ღირებულება გამოითვლება მუხლი III.-ის პირველი პუნქტის შესაბამისად.

## დანართები

| | |
|---|---|
| ცხრილი №1. | საქართველოს რკინიგზის კომერციული წარმოების ოპერაციებისათვის გახსნილ სადგურებს შორის მანძილები |
| ცხრილი №1-ა. | სადგურების  საექსპორტო კოდების ჩამონათვალი |
| ცხრილი №2. | საქართველოს რკინიგზის ტარიფების საბაზო განაკვეთები |
| ცხრილი №2-ა. | საქართველოს რკინიგზის სადგურ ფოთიდან / ბათუმიდან (მათ შორის პორტები) დატვირთული კონტეინერის საქართველოს რკინიგზის სადგურის დანიშნულებით გაგზავნის და უკუმიმართულებით ცარიელი კონტეინერის გადაზიდვის საბაზო განაკვეთები |
| ცხრილი №3. | შეზღუდული წონის სარკინიგზო უბნები |
| ცხრილი №4. | ტვირთის სახეობების კოეფიციენტები |
| ცხრილი №5. | საფრთხეშემცველი ტვირთების ჩამონათვალი |
| ცხრილი №6. | ძირითადი ხაზის განშტოებები |
| ცხრილი №7. | შეთავაზებული მომსახურების ტარიფები |
| ცხრილი №8. | კლიენტის მოთხოვნით, საგარანტიო წერილის საფუძველზე, სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის დროებით რეჟიმში მომსახურების შესახებ ნებართვის გაცემის საფასურები |

ცხრილი №1

# კომერციული წარმოების ოპერაციებისთვის გახსნილ სადგურებს შორის მანძილები (კმ)

| | | | აგარა | აგურ-ქარხანა | ავჭალა | აკარმარა | არგვეთა | აძიუბჟა (ახაქ.) | ახალქალაქი | ახალციხე | ბათუმი | ბზიფი | ბორჯომი | ბროწეული | გაგრა | გალი | განთიადი | განთიადი (ექსპ) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 578705 | აგარა §1,3 | 0 | 164 | 90 | 287 | 89 | 275 | 281 | 100 | 248 | 370 | 50 | 117 | 378 | 227 | 399 | 408 |
| 2 | 571808 | აგურ-ქარხანა §3 | 164 | 0 | 254 | 123 | 75 | 111 | 445 | 224 | 124 | 206 | 174 | 47 | 214 | 63 | 235 | 244 |
| 3 | 560307 | ავჭალა §1,3 | 90 | 254 | 0 | 377 | 179 | 365 | 191 | 190 | 338 | 460 | 140 | 207 | 468 | 317 | 489 | 498 |
| 4 | 573504 | აკარმარა §3 | 287 | 123 | 377 | 0 | 198 | 60 | 568 | 347 | 247 | 155 | 297 | 170 | 163 | 60 | 184 | 193 |
| 5 | 575904 | არგვეთა §3 | 89 | 75 | 179 | 198 | 0 | 186 | 370 | 149 | 159 | 281 | 99 | 28 | 289 | 138 | 310 | 319 |
| 6 | 573701 | აძიუბჟა §3 | 275 | 111 | 365 | 60 | 186 | 0 | 556 | 335 | 235 | 95 | 285 | 158 | 103 | 48 | 124 | 133 |
| 7 | 563305 | ახალქალაქი §1 | 281 | 445 | 191 | 568 | 370 | 556 | 0 | 381 | 529 | 651 | 331 | 398 | 659 | 508 | 680 | 689 |
| 8 | 578404 | ახალციხე §1,3 | 100 | 224 | 190 | 347 | 149 | 335 | 381 | 0 | 308 | 430 | 50 | 177 | 438 | 287 | 459 | 468 |
| 9 | 571509 | ბათუმი §1,3,6,8н,10н,11н,12н | 248 | 124 | 338 | 247 | 159 | 235 | 529 | 308 | 0 | 330 | 258 | 131 | 338 | 187 | 359 | 368 |
| 10 | 574206 | ბზიფი §3 | 370 | 206 | 460 | 155 | 281 | 95 | 651 | 430 | 330 | 0 | 380 | 253 | 8 | 143 | 29 | 38 |
| 11 | 577609 | ბორჯომი §1,3 | 50 | 174 | 140 | 297 | 99 | 285 | 331 | 50 | 258 | 380 | 0 | 127 | 388 | 237 | 409 | 418 |
| 12 | 575209 | ბროწეულა §1,3 | 117 | 47 | 207 | 170 | 28 | 158 | 398 | 177 | 131 | 253 | 127 | 0 | 261 | 110 | 282 | 291 |
| 13 | 574304 | გაგრა §1 | 378 | 214 | 468 | 163 | 289 | 103 | 659 | 438 | 338 | 8 | 388 | 261 | 0 | 151 | 21 | 30 |
| 14 | 573109 | გალი §1,3,4 | 227 | 63 | 317 | 60 | 138 | 48 | 508 | 287 | 187 | 143 | 237 | 110 | 151 | 0 | 172 | 181 |
| 15 | 574403 | განთიადი §1,2,3 | 399 | 235 | 489 | 184 | 310 | 124 | 680 | 459 | 359 | 29 | 409 | 282 | 21 | 172 | 0 | 9 |
| 16 | 574704 | განთიადი (ექსპ) | 408 | 244 | 498 | 193 | 319 | 133 | 689 | 468 | 368 | 38 | 418 | 291 | 30 | 181 | 9 | 0 |
| 17 | 562603 | გარდაბანი §1,3 | 139 | 303 | 49 | 426 | 228 | 414 | 208 | 239 | 387 | 509 | 189 | 256 | 517 | 366 | 538 | 547 |
| 18 | 563606 | გარდაბანი (ექსპ) | 148 | 312 | 58 | 435 | 237 | 423 | 217 | 248 | 396 | 518 | 198 | 265 | 526 | 375 | 547 | 556 |
| 19 | 562800 | გაჩიანი §3 | 121 | 285 | 31 | 408 | 210 | 396 | 190 | 221 | 369 | 491 | 171 | 238 | 499 | 348 | 526 | 535 |
| 20 | 579002 | გორი §1,3 | 24 | 188 | 66 | 311 | 113 | 299 | 257 | 124 | 272 | 394 | 74 | 141 | 402 | 251 | 423 | 432 |
| 21 | 574102 | გუდაუთა §1,2,3,4 | 340 | 176 | 430 | 125 | 251 | 65 | 621 | 400 | 300 | 30 | 350 | 223 | 38 | 113 | 59 | 68 |
| 22 | 561901 | გურჯაანი §1,3 | 222 | 386 | 132 | 509 | 311 | 497 | 291 | 322 | 470 | 592 | 272 | 339 | 600 | 449 | 621 | 630 |
| 23 | 561704 | დედოფლის-წყარო §1,3 | 233 | 397 | 143 | 520 | 322 | 508 | 302 | 333 | 481 | 603 | 283 | 350 | 611 | 460 | 632 | 641 |
| 24 | 573805 | დრანდა §1,2,3,4 | 284 | 120 | 374 | 69 | 195 | 9 | 565 | 344 | 244 | 86 | 294 | 167 | 94 | 57 | 115 | 124 |
| 25 | 574009 | ეშერა §3 | 311 | 147 | 401 | 96 | 222 | 36 | 592 | 371 | 271 | 59 | 321 | 194 | 67 | 84 | 88 | 97 |
| 26 | 561102 | ვაზიანი §1,3 | 125 | 289 | 35 | 412 | 214 | 400 | 194 | 225 | 373 | 495 | 175 | 242 | 503 | 352 | 524 | 533 |
| 27 | 578508 | ვალე §1,3 | 110 | 234 | 200 | 357 | 159 | 345 | 391 | 10 | 318 | 440 | 60 | 187 | 448 | 297 | 469 | 478 |
| 28 | 562904 | ველი §1,3 | 116 | 280 | 26 | 403 | 205 | 391 | 185 | 216 | 364 | 486 | 166 | 233 | 494 | 343 | 515 | 524 |
| 29 | 576004 | ზესტაფონი §1,3,8н,10н | 83 | 81 | 173 | 204 | 6 | 192 | 364 | 143 | 165 | 287 | 93 | 34 | 295 | 144 | 316 | 325 |
| 30 | 572906 | ზუგდიდი §1,3,6,8н | 217 | 53 | 307 | 82 | 128 | 70 | 498 | 277 | 177 | 165 | 227 | 100 | 173 | 22 | 194 | 203 |
| 31 | 563502 | თაფარავანი §1 | 228 | 392 | 138 | 515 | 317 | 503 | 53 | 328 | 476 | 598 | 278 | 345 | 606 | 455 | 627 | 636 |
| 32 | 560006 | თბილისი-დამხ §1,3,8н,10н | 111 | 275 | 21 | 398 | 200 | 386 | 180 | 211 | 359 | 481 | 161 | 228 | 489 | 338 | 510 | 519 |
| 33 | 560102 | თბილისი-საკვ §3,5,6,8н,10н,11н,12 | 106 | 270 | 16 | 393 | 195 | 381 | 175 | 206 | 354 | 476 | 156 | 223 | 484 | 333 | 505 | 514 |
| 34 | 560203 | თბილისი-სატვ §1,2,3,4 | 98 | 262 | 8 | 385 | 187 | 373 | 183 | 198 | 346 | 468 | 148 | 215 | 476 | 325 | 497 | 506 |
| 35 | 563907 | თეთრი-წყარო §1 | 158 | 322 | 68 | 445 | 247 | 433 | 123 | 258 | 406 | 528 | 208 | 275 | 536 | 385 | 557 | 566 |
| 36 | 562503 | თელავი §1,3 | 255 | 419 | 165 | 542 | 344 | 530 | 324 | 355 | 503 | 625 | 305 | 372 | 633 | 482 | 654 | 663 |
| 37 | 572802 | ინგირი §1,3 | 211 | 47 | 301 | 76 | 122 | 64 | 492 | 271 | 171 | 159 | 221 | 94 | 167 | 16 | 188 | 197 |
| 38 | 561206 | იორი §1,3 | 142 | 306 | 52 | 429 | 231 | 417 | 211 | 242 | 390 | 512 | 192 | 259 | 520 | 369 | 541 | 550 |
| 39 | 560701 | კავთისხევი §1,3 | 57 | 221 | 33 | 344 | 146 | 332 | 224 | 157 | 305 | 427 | 107 | 174 | 435 | 284 | 456 | 465 |
| 40 | 564401 | კაზრეთი §1,3 | 179 | 343 | 89 | 466 | 268 | 454 | 202 | 279 | 427 | 549 | 229 | 296 | 557 | 406 | 578 | 587 |
| 41 | 560805 | კასპი §1,3 | 52 | 216 | 38 | 339 | 141 | 327 | 229 | 152 | 300 | 422 | 102 | 169 | 430 | 279 | 451 | 460 |
| 42 | 561507 | კაჭრეთი §1,3 | 186 | 350 | 96 | 473 | 275 | 461 | 255 | 286 | 434 | 556 | 236 | 303 | 564 | 413 | 585 | 594 |
| 43 | 574507 | კოპიტნარი §3 | 131 | 33 | 221 | 156 | 42 | 144 | 412 | 191 | 117 | 239 | 141 | 14 | 247 | 96 | 268 | 277 |
| 44 | 570402 | ლანჩხუთი §1,3 | 174 | 50 | 264 | 173 | 85 | 161 | 455 | 234 | 74 | 256 | 184 | 57 | 264 | 113 | 285 | 294 |
| 45 | 561009 | ლილო §1,3 | 117 | 281 | 27 | 404 | 206 | 392 | 186 | 217 | 365 | 487 | 167 | 234 | 495 | 344 | 516 | 525 |
| 46 | 564100 | მარნეული §1,3 | 137 | 301 | 47 | 424 | 226 | 412 | 160 | 237 | 385 | 507 | 187 | 254 | 515 | 364 | 536 | 545 |
| 47 | 577007 | მოლითი §1,3 | 43 | 121 | 133 | 244 | 46 | 232 | 324 | 103 | 205 | 327 | 53 | 74 | 335 | 184 | 356 | 365 |
| 48 | 563409 | ნინოწმინდა §1 | 271 | 435 | 181 | 558 | 360 | 546 | 10 | 371 | 519 | 641 | 321 | 388 | 649 | 498 | 670 | 679 |
| 49 | 571000 | ოზურგეთი §1,3 | 228 | 104 | 318 | 227 | 139 | 215 | 509 | 288 | 56 | 310 | 238 | 111 | 318 | 167 | 339 | 348 |
| 50 | 570101 | ორპირი §3 | 137 | 75 | 227 | 198 | 48 | 186 | 418 | 197 | 159 | 281 | 147 | 28 | 289 | 138 | 310 | 319 |
| 51 | 573307 | ოჩამჩირე §1,2,3,4 | 251 | 87 | 341 | 36 | 162 | 24 | 532 | 311 | 211 | 119 | 261 | 134 | 127 | 24 | 148 | 157 |
| 52 | 575105 | რიონი §1,3 | 113 | 51 | 203 | 174 | 24 | 162 | 394 | 173 | 135 | 257 | 123 | 4 | 265 | 114 | 286 | 295 |
| 53 | 562707 | რუსთავი §3 | 131 | 295 | 41 | 418 | 220 | 406 | 200 | 231 | 379 | 501 | 181 | 248 | 509 | 358 | 530 | 539 |
| 54 | 561307 | საგარეჯო §1,3 | 154 | 318 | 64 | 441 | 243 | 429 | 223 | 254 | 402 | 524 | 204 | 271 | 532 | 381 | 553 | 562 |
| 55 | 564609 | სადახლო §1,3 | 166 | 330 | 76 | 453 | 255 | 441 | 189 | 266 | 414 | 536 | 216 | 283 | 544 | 393 | 565 | 574 |
